რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 მარტი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 49 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 49

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ ვთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

პეტრე, ანასტასია, ნიკოლოზი, ვლადიმერი, მარიამი და ვერა ნარიმანოვები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 4 მარტს, 12 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარის შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასის ძმის

ანტონ პეტრეს ძე ნარიმანოვის

სულის მოსახსენებლათ. 2—1

განცხადება

პეტრე გრიგოლის ძე მელია გულდათუთქული ვაუწყებ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ჩემი ძმა ბეგლარი 19 იანვარს გავიდა სახლიდგან, იმ დღესვე საღამოს ყოფილა ვ. ცაბაძეს სახლში, სადაც დატია ოქროს საათი და წერილი საშა აბაშელის გარდასაცემათ. 21-ს მივიღე წერილი, რომლის შინაარსიდგან სჩანს, ერთი წლის და ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ დარწმუნებული იმაში, რომ მისი მორჩენა შეუძლებელია და ხსნა არსაიდგან არის, გარდაუწყვეტია მდ. მტკვარში გადავარდნა და ამით წუთისოფლის გამოსალმება. ჩემ მიერ ზომების მიღებამ მის მოსანახავად ვერავითარი შედეგი არ მომცა. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ყველა ჩემს და მისს ნაცნობთ და მეგობრებს დახმარება აღმომიჩინონ ცხედრის გვამის აღმოსაჩენათ.

პეტრე გრ. მელია.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

კვირას, 4 მარტს გაიმართება

ობოლი მუშის სალიტერატურო დილა

მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, მოხეტიალე მუსიკოსი ქურხული, თაგუნა, ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, რ. ჯიბილა, გ. შარაშენიძე, ა. კაციაშვილი, ქ-ნი „ვოვა“, ელიზა და სხვა.

დასაწყისი დღის 12 საათზე. ◆ დილის ხელმძღვანელი გ. შარაშენიძე.

მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავაღვივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.

ამიერ-კავკასიის ყველა მოქალაქეს

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ომით მოქანცულ ხალხს ზავი სწყურია.

ჩვენ მედგრათ გადავდგით ნაბიჯი ოსმალეთთან ზავის შესაკვრელათ. ჩვენი საზავო დელეგაცია უკვე ტრაპიზონში იმყოფება და ოსმალეთის დელეგაციას უცდის. ცნობაა, რომ ოსმალეთის დელეგაცია უკვე წამოსულა ტრაპიზონში, მაგრამ ზავის საქმე ამით ოდნავათაც არ წაწეულა წინ.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მოატყუა გერმანიამ პეტროგრადის ბალშევიკური მთავრობა. იმ დროს, როცა რუსეთის დელეგატები ბრესტში იჯდენ და გერმანიის დელეგატებთან ერთად საზავო პირობებს იმუშავებდენ, გერმანიის ჯარი სამრათ ირაზმებოდა და რუსეთის საზღვრებს უახლოვდებოდა. დღეს ეს ჯარი უკვე რუსეთის შუა გულში შეიჭრა და მისი შეჩერება აღარ ძალუძს არც მოწოდებებს და არც წყევლა-კრულვას. რუსეთი დაღუპვის პირზეა მიმდგარი.

დღეს ოსმალეთის მთავრობა ცდილობს ჩვენშიაც გაიმეოროს ის, რაც გერმანიამ რუსეთში ჰქნა: ის ზავზე მოლაპარაკებას განაგრძობს და ამავე დროს ჩვენი საზღვრებისკენ ჯარს ჰგზავნის. უკვე ცნობაა, რომ ოსმალეთის ჯარი ბათუმის მხარისაკენ მოეშურება.

რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია. დაუძლურებულ ოსმალეთს სურს ჩვენი სისუსტით ისარგებლოს და ჩვენს ქვეყანას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. მას იმედი აქვს, რომ ჩვენ გავიმეორებთ იმავ შეცდომებს, რამაც რუსეთი დაღუპა, ოსმალეთი დარწმუნებულია, რომ ჩვენ საზავო მოლაპარაკებით შევიქცევთ თავს და ამ დროს ის ბათუმს და ყარსს ჩაიგდებს ხელში.

რას ნიშნავს ჩვენთვის ბათუმის და ყარსის დაკარგვა? ყველაფერს, რადგან ბათუმის და ყარსის ჩამორთმევით ჩვენ დაგვეკეტება საუკეთესო გზა ევროპისაკენ და მტერს გზას გაუხსნის მთელს ამიერ-კავკასიაში სათარეშოთ.

ცხადია, თუ რა სურს ოსმალეთს: ამ ადგილების შეერთებით მთელი ამიერ-კავკასიის დაპყრობა და ჩვენი ერის მონობის უღელში გაბმა.

ვინც ოსმალეთის ასეთს განზრახვას ანგარიშს არ უწევს, ის პოლიტიკურათ ბრმა არის, ის ღალატობს ხალხის ინტერესებს, მის კეთილ-დღეობას, ის ძირს უთხრის რევოლიუციას.

რევოლიუცია განსაცდელშია. ჩვენს ხალხს, მის არსებობას საფრთხე მოელის, მთელს ერს გადაშენებას უქადიან.

თქვენ დაანგრიეთ საშინელ მტარვალის ტახტი და როცა იწყება რევოლიუციის მოპოებათა გამაგრება და ცხოვრებაში გატარება, ამ დროს გარეშე მტერი ცეცხლითა და მახვილით იმუქრება.

ნუ თუ ამ დროს გამოჩნდება ჩვენში ისეთი მოღალატე და ლაჩარი, რომელიც მოსულ მტერს არ შეებრძოლება და ქვეყანას და რევოლიუციას განსაცდელში ჩააგდებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

დაუყონებლივ გაეშურეთ სამობილიზაციო ადგილებისაკენ, დაუყოვნებლივ შეასრულეთ თქვენ მიერ არჩეულ მთავრობის მოწოდება ჯარის შესადგენათ. ცხრამეტიდან ოცდახუთ წლამდე უკვე გამოცხადებულია მობილიზაცია. მაგრამ ეს ცოტაა. ყველა მოქალაქე, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, თოფს ქვეშ უნდა დადგეს, ყველამ უნდა მოიხადოს საპატიო ვალი მამულისა და რევოლიუციის წინაშე.

ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელშია. დაიხსენით ის და მით უკვდავ ყავით დემოკრატიის სახელი.

შეიარაღდით და პოზიციებისაკენ გაეშურეთ!

საოლქო კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებისა.

საზავო მოლაპარაკება

ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება წმინდა დიპლომატიურ ხასიათს ღებულობს. აზიის ტიპიურმა სახელმწიფომ, დიპლომატიურ ხრიკებში გამოჭახრაკებულმა დელეგატებმა გაუგებარი ენით დაიწყეს ლაპარაკი და კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევიან. აბდულ ჰამიდი რამდენიმე ათი წლის განმავლობაში დიპლომატიურ ოსტატობით ატყუებდა ევროპის დიპლომატებს და ამ გზით იფარავდა ოსმალეთს გარეშე საფრთხისაგან. დიდი ხანია ოსმალეთის სახელმწიფოს დასავლეთ ევროპის და რუსეთის იმპერიალისტები დაინაწილებდენ, მაგრამ ყოველ ასეთ კრიტიკულ წუთებში კონსტანტინეპოლის საგარეო საქმეთა დიპლომატები ისეთ საერთაშორისო კომბინაციებს ახდენდენ, რომ ოსმალეთს საფრთხეს თავიდან აშორებდენ.

ეტყობა, ასეთივე დიპლომატიური ხრიკებით ფიქრობენ ოსმალეთის დიპლომატები ჩვენი დელეგატების მოტყუებას. ისინი ტრაპიზონში ჩვენს დელეგაციას უცხადებენ, რომ მათ არ იციან, მართლა მოითხოვს თუ არა ოსმალეთის მთავრობა ამიერ-კავკასიის კომისარიატიდან ბათომის, ყარსის და არდაგანის ოლქების დაცლას, რომ ოსმალეთი პირიქით მტკიცე ზავის შეკვრას აპირებს.

ასეთია საზოგადოთ იმპერიალისტური სახელმწიფოების საიდუმლო დიპლომატია. ისინი სიტყვით ერთს ლაპარაკობენ—საქმით კი სულ სხვას აკეთებენ. ჩვენ სრულიად სანდო წყაროებიდან ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობა კავკასიის ფრონტზე ჯარის მობილიზაციას ახდენს. მათ უკვე დაიკავეს არზრუმი, რიზეში დიდძალი ჯარი მოიყვანეს და სხვა...

ოსმალეთის დელეგატებს მტკიცე ზავის ჩამოგდება აქვთ დავალებული და ამავე დროს კი ამიერ-კავკასიის საზღვრებისაკენ ჯარს მოაშურებენ.

ეჭვს გარეშეა, ზავის საკითხი მათ იარაღით უნდა გადასჭრან და იარაღით მოგვახვიონ ზავის პირობები. ჩვენ კარგათ გვესმის ოსმალეთის იმპერიალისტური განზრახვა. ჩვენ ბალშევიკები არ ვართ, რომ ჯერ ჯარი დავშალოთ, და ოსმალეთთან ისე დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება. შეიარაღებული ძალა საუკეთესო თავდებია ამიერ-კავკასიის მთლიანობის და მისი 1914 წლის საზღვრებში დარჩენის. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინეპოლის მთავრობა ამიერ-კავკასიის მთლიანობას დაარღვევს და ვინ იცის როგორი ზავის პირობა არ მოგვახვიოს თავზე.

ოსმალეთის იმპერიალისტების და ანექსიონისტების გამარჯვება ამიერ-კავკასიაში შექმნის მეორე ბალკანეთს, რომელიც ერთა შუღლის და შხლა-შემოხლის ბუდეთ გადაიქცევა და ადგილობრივ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე ლაპარაკი მეტი იქნება. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტათ დაინტერესებულია ამიერ-კავკასიის დემოკრატია. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ოსმალეთის მთავრობა და ამიერ-კავკასიის ზოგიერთა ერების გაბატონებული კლასები. ესენი თავიანთებურ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ებღაუჭებიან და ამ გზით ცდილობენ ამიერ-კავკასიის გადლეჯ-გამოგლეჯას. ჩვენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ასე ბარბაროსულათ არ გვესმის. ყოველმა ერმა ეროვნული თვითგამორკვევა არსებულ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში უნდა მიიღოს და არა ხიშტებით და ძალდატანებით. ამიერ-კავკასიის დემოკრატიას დესპოტიური ოსმალეთის აგენტებიდან არ სჭირია ერთა თვითგამორკვევის საქმის მოწყობა. აქ დემოკრატიული სრული თავისუფლება გვაქვს და თითეულ ერს ძალდაუტანებლათ შეუძლია თავისი ეროვნული საქმეების მოწყობა. მაგრამ როცა ეს მაღალი პრინციპი ოსმალეთის ხიშტებისა და ადგილობრივ რეაქციონურ კლასების მეოხებით მოხდება, მაშინ ერთა თვითგამორკვევა კი არ იქნება, არამედ ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ კუთხის ანექსია და ოსმალეთის პროვინციათ გახდომა.

აი ის საიდუმლო დიპლომატია, აი ის საზავო მოლაპარაკება, რომლის მეოხებითაც კონსტანტინეპოლის დიპლომატები ცდილობენ ამიერ კავკასიის დაპყრობას და აქ თავისი პოლიტიკური გაბატონების განმტკიცებას. ვინც მათ ასეთ განზრახვას მხარს დაუჭერს, ვინც ამიერ კავკასიის 1914 წლის საზღვრების მთლიანობას უარყოფს, ის ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის ყველა ერის მშრომელი კლასების დაუძინებელი მტერია და ამიერ კავკასიის დემოკრატიის ისტორიაში მოღალატის სახელით მოინათლება. ამიერ კავკასიის მთლიანობის დაცვა და აქ მაცხოვრებელ ხალხის უმრავლესობის უზრუნველყოფილობა რევოლიუციონურ დემოკრატიის საქმეა და უკანასკნელი გაერთიანებული ძალით, ერთსულოვან მოქმედებით ფრონტისაკენ გაეშურება და ამ გზით შეკრავს ოსმალეთთან დემოკრატიულ ზავს.

ოსმალეთი თავს გვესხმის

ოსმალეთის მთავრობამ მთავარ-სარდალი ვეხიბ-ფაშის პირით კავკასიის ჯარების უფროსს ლებედინსკის ოფიციალურათ ამცნო: რუსეთის რესპუბლიკა დასთანხმდა დასცალოს ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქები და მოაწერა ხელი ამის შესახებ საზავო პირობას. ამის გამო მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე ამ წუთში მივიღე ჩემი გენერალისიმუსისაგან ბრძანება და გთხოვთ მოახდინოთ ახლო ხანში ხსენებული ოლქების ევაკუაციაო (დაცლა).

დეპეშის შინაარსი აშკარაა. დამარცხებული და მიწასთან გასწორებული სულთანის მთავრობა ბათომის, ყარსის და არდაგანის ოლქების დაცლას მოითხოვს და ამ ოლქებს თავის პროვინციებათ აცხადებს.

ბალშევიკების უმგვანო ტაქტიკით წაქეზებული ოსმალეთი 1877 წლის საზღვრების აღდგენას მოითხოვს და ამ სახით მთელი ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონათ გამოდის.

ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, თუ რამდენათ სამართლიანია, რომ ოსმალეთის მთავრობამ ბრესტის საზავო ხელშეკრულობით იხელმძღვანელოს და სახალხო კომისარების მიერ ამიერ-კავკასიის დიდ მნიშვნელოვან ადგილების მათთვის მიყიდვა საბუთათ წამოგვიყენოს. თვით ოსმალეთის მთავრობამაც კარგათ იცის, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა დღიდან ბალშევიკების ცენტრში გაბატონებისა სახალხო კომისარების მთავრობას არ სცნობდა და პირველი დიდი ხანია დამოუკიდებლათ მართველობდა. მაშასადამე, ოსმალეთის მთავრობას ამიერ-კავკასიის მთავრობასთან საკუთარი დამოუკიდებელი ზავი უნდა შეეკრა და მასთან შესაფერი მოლაპარაკებაც დიდი ხანია გამართა.

მიუხედავათ ამისა ოსმალეთმა შელახა ჩვენი უფლებები და ბრესტის ხელშეკრულობის ძალით ბათუმის, ყარსის და არდაგანის დაცლა მოგვთხოვა.

ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების დათმობა მთელი ამიერ კავკასიის ოსმალეთის პროვინციათ გადაქცევას ნიშნავს. ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის ოლქს მთელი ამიერ კავკასიის ეკონომიურ განვითარებისათვის. ბათუმი მთავარი ნავთსადგურია, საიდანაც გააქვთ ამიერ კავკასიის ნაწარმოები და შემოაქვთ უცხო საქონელი. ასეთი ადგილის ოსმალეთის ხელში გადასვლა დღეს მთელი ჩვენი მომავალის განვითარების დასამარებაა. მხოლოდ ყარსი და არდაგანი კი სტრატეგიული ადგილებია, საიდანაც ოსმალეთის მთავრობას მუდამ საშუალება ექნება რამდენიმე დღეში ამიერ კავკასიის ბატონ-პატრონი გახდეს და ხელში ჩაიგდოს ის.

ასეთ პირობებში თავის თავათ საგულისხმოა ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ არსებობაზე და თავისუფალ განვითარებაზე ლაპარაკიც მეტია, ჩვენ დღეიდან დიდ საფრთხის წინაშე ვდგევართ და ოსმალეთის მთავრობა ცინიკურათ, თავხედათ სასიკვდილო ხმალს გვიღერებს. ზევით დასახელებულ ადგილების დათმობა, ყველა ერისთვის სასიკვდილო განაჩენია, ასეთ განაჩენს არც ერთი ერის დემოკრატია ხელს არ მოაწერს. მით უმეტეს, რომ ასეთ სასიკვდილო განაჩენს ოსმალეთის დესპოტიური მთავრობა გვიმზადებს და ჩვენს ჯალათათ ისინი გამოდიან.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია, რევოლიუციონური ხალხი საყოველთაოთ შეიარაღდება, უკანასკნელ ძალას მოიკრებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ქვეყანას. დაგვიდგა კრიტიკული მომენტი; ასეთი წუთები ამიერ-კავკასიის დემოკრატიას არასდროს არ ქონია და იგი დიდ გონივრობას და წინდახედულებას გამოიჩენს.

დადგა დრო, როცა ამიერ-კავკასიის რევოლიუციას წარმოუდგენელი საფრხე გარეშე მტრისაგან მოელის და რევოლიუციონური დემოკრატიაც დიდიდან პატარამდე შეიარაღდება და მტერს მოიგერიებს.

ძირს დაშვერილი დინგი

Когда-бы вверхъ могла поднять
ты рыло,
Тебѣ-бы видно было,
Что эти жолуди на мнѣ ростутъ.
კრილოვი.

სიტყვები „სამშობლო განსაცდელშია“ არაოდეს არ ყოფილა ისე შინაარსიანი, სწორმეტყველი და დაუნდობლივ მკვეთრი, როგორც დღეს.

დღეს ყოველი ნამდვილი პატრიოტის და დემოკრატის გული აშკარათ გრძნობს, რომ იქ, შორს, უცხოელ იმპერიალისტების საბუდარში და, ვინ იცის, აქაც, სულ ახლოს, ჩვენ მეზობლათ, გაფაციცებით იჭედება კუბო ჩვენი სამშობლოისა და რევოლიუციისათვის.

ეს გრძნობა ისე ხელშესახები და თვალსაჩინოა, რომ ჩვენ თითქოს ვხედავთ კიდეც, რაგვარის გატაცებით და კმაყოფილებით სთხრიან სამარეს ჩვენი მტრები, გვესმის ბარისა და წერაქვის დარტყმა და თვალწინ გვიდგას საბედისწერო კუბო ჩვენი ეროვნულის, პოლიტიკურის და მოქალაქეობრივის თავისუფლებისა.

ვინ იქნება ისეთი მოღალატე, სინდისზე ხელაღებული და სულმდაბალი, რომ ასეთ დროს გულში არ ჩაიკლას ყოველივე პირადი ღვარძლი და შური და ყველა თავისი წვრიმალი სულიერი მოძრაობა არ შესწიროს ერთად-ერთ დიად გრძნობას, დიად ნებისყოფას—თავისუფლების და რევოლიუციის დაცვისას?

და რომ აღმოჩნდეს კიდეც ასეთი მახინჯი, განა გაბედავს და გამოიტანს საჯაროთ ქვეყნის წინაშე თავის ღვარძლიან გულის ნადებს?

და ასეთი სულიერათ კუზიანი კაციც რომ აღმოჩნდეს, რისი ღირსია იგი? რა ეკადრება მას საქმისამებრ მისისა?

რა ეკადრება საქართველოს „სოციალისტ“-ფედერალისტთა „სარევოლიუციო“ პარტიას, რომელიც სამშობლოისა და რევოლიუციის ესოდენ განსაცდელის დროს დედის [illegible] ამოჰფარებია და ცალ [illegible] ბინძურ თამასუქებს აფენს სამარცხვინო ანგარიშის გასასწორებლათ?

ჩვენ კარგათ ვიცნობთ „სამშობლოსათვის თავგანწირულ“ ფედერალისტებს!

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ არ ყოფილა ისეთი ეროვნული უბედურება, რომელიც მათ სპეკულიაციის საგნათ არ გამოეყენებინოსთ სოციალ-დემოკრატების გასაბახებლათ და თავიანთ თავის გასაზვიადებლათ.

მაგრამ ის კი არ გვეგონა, რომ მათი უტიფრობაც ისე უსაზღვრო იქნებოდა, როგორც მათი უმწეობა და ამ საშინელ დროს, როდესაც თავისუფლებისა და რევოლიუციისათვის გამზადებულ საფლავის სუნთქვასა ვგრძნობთ, ასეთ დროსაც არ დაადგებოდენ ძველ გზას და სოც.-დემოკრატების „გასანიავებლათ“ ნაცად ხერხს მიმართავდენ.

— სოციალ-დემოკრატებმა მიიყვანეს დღევანდელ უბედურებამდე ქართველი ხალხი,—ტიკტიკობენ ქუჩაში ფედერალისტების კეკლები.

— დღეს არ არის ანგარიშის გასწორების დრო, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვათ; სოციალ-დემოკრატებმა ჩაჰკლეს ქართველი ხალხის გულში „სამშობლო“. ყოვლად უტიფრათ გაიძახიან მიტინგზე ფედერალისტების უნიჭო ბელეტრისტები და მამლაყინწა „პროფესორები“.

მათი გაზეთი კი, ყოვლად პატიოსანი „სახალხო საქმე“, ამასაც არ ჯერდება და საქვეყნოთ აცხადებს, რომ თურმე ახლა, ამ საშინელ განკითხვის დროს დამდგარა წუთი, როდესაც „ჟორდანიების“ მოღალატეობა „ფიზიკურათ“ უნდა მოისპოს, სოციალ-დემოკრატების „ლათაიებს“ ბოლო უნდა მოეღოს, ქართველმა ხალხმა უნდა ზურგი შეაქციოს

ამ ქვეყნის დამღუპველებს და მოღალატეებს და გაყვეს (უნდა ვიგულისხმოთ)... ბატონ ფედერალისტებს.

აი, რა ენით და ამაზე მრავალ-გზის უშვერითაც, (იხ. „სახ. საქ." უკანასკნელი №№) ალაპარაკდენ ჩვენი „რევოლიუციონერები" და „სოციალისტები" სწორედ მაშინ, როდესაც საზარელი უბედურება კარზე მოგვადგა და მტკიცე ერთობას და შეკავშირებას გვავალებს ყველას.

რასა ჰგავს ეს?

როგორ ბედავს ეს შვიდიოდე გაუთხოვარ „კ..ოვნას" პარტია ასეთი კილოს აღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც მთელი ერის ღერძსა და მამოძრავებელ ძალას შეადგენს?

„სოციალ-დემოკრატებმა ჩაჰკლეს ქართველის გულში „სამშობლო"!

მაშ ვისია ის ერთად ერთი ძალუმი ზარი, სამშობლოს დასაცავათ რომ ირეკება დღეს დაუღალავათ და იმედიანათ?

მაშ ვისი პარტიის წევრები და მიმდევრები არიან, რომ გმირული თავ-განწირულებით და ვაჟკაცური მოუთმენლობით, რომ იარაზმებიან დღეს თავისი მამულისთვის რევოლიუციური სისხლის დასანთხევათ?

ან ქნება, ეს საომარი ყიჟინა და ერთსულოვანი აღფრთოვანება უდროო იყოს ეხლა და ისეთი უილაჯობით სავსე წერილების ბეჭდვა სჯობდეს, „სახ. საქმის" ფურცლები რომ დაამშვენა ამას წინათ?

„სოციალ-დემოკრატებმა მიიყვანეს დღევანდელ უბედურებამდე ქართველი ხალხი!"

დიაღ! სოციალ-დემოკრატებმა მიიყვანეს დღევანდელ უბედურებამდე ქართველი ხალხი, რადგანაც, სოციალ-დემოკრატებს რომ არ მიჰყვებოდეს ქართველი ხალხი, ამ საბედისწერო დრომდე ათჯერ გადაიჩეხებოდა, განადგურდებოდა და რაირბეოდა ისეთი „ბელადების" წყალობით, რომელთა „რევოლიუციონერობა" რევოლიუციასთან ბრძოლას უდრის და რომელთა „სოციალისტობა" სოციალიზმის მტრობას წარმოადგენს.

ვისი დაუღალავი შრომითა და თავდადებული ბრძოლით ცხრება ხოლმე სოფლად და ქალაქად საზარელი ანარქია და ნაძირალთა თავგასულობა თუ არ სოციალ-დემოკრატიის მიერ დაარსებულ წითელ გვარდიისა?

დიაღ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიყვანა თავისი ზესთაბუნებრივი ენერგიისა და ნებისყოფის მეოხებით დღევანდელ დღემდე ხალხი და რევოლიუცია, და თუ დღეს უბედურება გვიდარაჯებს, აქ ის, რა თქმა უნდა არაფერ შუაშია: ამ უბედურების მოზღვავებაში იმდენი წილი აქვს ესდეკებს, რამდენიც ესერებს რევოლიუციაში.

და კიდევ: თუ ვისმე შეუძლია ქვეყნის ამ უბედურებისაგან დახსნა და გამოყვანა, ისევ იმავე სოციალ-დემოკრატებს, მიუხედავათ ფედერალისტების ხელის შეშლისა.

ყველა ამას ვერ ხედვენ ფედერალისტები, ვერ ხედვენ იმასაც კი, რომ თვით მათი ფიზიკური არსებობაც სოციალ-დემოკრატების წყალობაა, რადგან ბურთი და მოედანი რომ მათი ყოფილიყო საქართველოში და არა სოციალ-დემოკრატების, მათი „პოლიტიკის" და „ტაქტიკის" წყალობით დღეს მხოლოდ უსიამოვნო მოგონება-ღა იქნებოდა დარჩენილი ამ „სარევოლიუციო" და სოციალისტურ პარტიისაგან.

ყველა ამას ისინი ვერ ხედვენ და მადლობის ნაცვლათ ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოც.-დემოკრატიას; უმწეო ბრაზით შეპყრობილნი მამულისა და რევოლიუციის მოსალოდნელ დაღუპვასაც კი ანგარების საგნათ ხდიან.

ვერ ხედვენ და განა საკვირველია რომ ვერ დაინახონ, როდესაც მათი აგებულებაც სწორედ ისეა მოწყობილი, როგორც კრილოვის ცნობილ არაკის „გმირისა", რომელიც თავის მასაზრდოებელ მუხას ფესვებს უთხრიდა!

და როდესაც ეს „რევოლიუციონერები" და „სოციალისტები" ჰლამობენ ძირი გამოუთხარონ ერთად-ერთი **საერო** პარტიას, **საეროს**, ამ სიტყვის უმაღლეს და უჭეშმარიტეს მნიშვნელობით, მაშინ ჩვენ რაღა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ მათაც შემდეგის სიტყვებით მივმართოთ:

„თქვენ რომ შეგეძლოსთ ემაგ დინგის ზევით აშვერა,
დაინახავდით, რომ თქვენი რკოც მუხას ასხია"...

პრესა

ფედერალისტები ბრძოლის გუნებაზე დადგენ. მუდამ ასეა: როცა ანარქია გაძლიერდება, ფედერალისტების დღესასწაულიც მაშინ დგება. მოიგონეთ რეაქციის ხანა, რომელიც 1905 წლის რევოლიუციის დამარცხებას მოყვა. მაშინ ჩვენი „სოციალისტები" გუნია-ხუოზელის ფერხულში ჩაებენ და სხვა რომ ვერაფერი მოიგონეს ილია ჭავჭავაძის მოკვლაც კი დაგვაბრალეს. 1914 წელს დიდის აღფრთოვანებით მიეგებენ თფილისში ნიკოლოზ მეფის მოსვლას და ეს იმ დროს, როცა ადგილობრივ ხალხის მეთაურს სოციალ-დემოკრატიას სასტიკათ ებრძოდენ.

დღესაც ასეა: სანამ რევოლიუცია ძლიერი იყო ეს ვაჟბატონები სოროებში ისხდენ, დღეს კი სასტიკ და სამარცხვინო ბრძოლას აწარმოებენ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა საოლქო ცენტრის წინააღმდეგ. ქართველი ბურჟუა-მემამულეების წარმომადგენელმა გიორგი გვაზავამ სეიმში მოითხოვა საბჭოების გაუქმება, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტები „სახალხო საქმე"-ში შეუდგენ გვაზავას აზრების დაცვას. „ერთობა"-მ ფედერალისტების ეს შავრაზმული გამოსვლა აღნიშნა. სხვათა შორის ჩვენ მოვიყვანეთ „სახალხო"-ს მიერ საბჭოების დახასიათება და აღვნიშნეთ, რომ ეს დახასიათება პირწმინდა განმეორებაა იმის, რაც რამდენიმე თვის უკან პურიშკევიჩმა წარმოსთქვა მეოთხე სათათბიროში.

ჩვენებურ ფედერალისტებს არავინ არ თვლიდა სოციალისტებათ, მაგრამ მათ რომ უბრალო რიგიანობა ქონოდათ, ეცდებოდენ ან დაემტკიცებინათ, რომ ისინი ამიერ-კავკასიის საბჭოების ცენტრის წინააღმდეგ არ მიდიან, ან გაჩუმდებოდენ მაინც. „სახალხო"-ს ფალავანი თედო ღლონტი კი თავმოწონებით აცხადებს:

> „ამ დღეებში ჩვენ სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ „ცენტრს" ეროვნულ ბრძოლის მიჩქმალვის გამო, ქართველების და ყველა ადგილობრივ ერების შეურაცყოფისათვის"-ო.

ასე უცერემონიოთ ატყუებს ფედერალისტების გაზეთი მკითხველებს—ბრძოლა იმისთვის გამოვუცხადე „ცენტრს", რომ მან ქართველობას და სხვა ერებს შეურაცყოფა მიაყენაო. აბა დაგვისახელოს „სახალხომ" როდის მიაყენა „ცენტრმა" შეურაცხყოფა ქართველობას? რისთვის დასჭირდა „სახალხო"-ს ეს ტყუილი?

ჩვენ არ გამოვუდგებით ფედერალისტების ტრაბახობას—კაი ხანია ჩვენი ძალები რევოლიუციონურ წესიერებას იცავენ ქუთაისში, თფილისში, სოფლებში და სხვ. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ფედერალისტების ერთს უტიფრობას, რომელიც ირ. წერეთელსაც არ ინდობს და სოციალიზმის ამ სახელოვან მებრძოლს შოვინისტათ ნათლავს. აი დაუგდეთ ყური:

> „სოციალ-დემოკრატი კოროლიოვები, ვოლსკები, ვოიტინსკები, წერეთლები და სხვა ეგზემპლიარები კმაყოფილდებიან არა მარტო თავისუფალ ცხოვრების საშუალებით, რაიცა მათ აქვთ ჩვენს სამშობლოში, აქტიურ ბრძოლასაც იწყებენ და სავსებით იმეორებენ ჩვენში რუსეთის შეცდომებს. რუსულ შოვინიზმის და ნაციონალიზმის ეს ტიპიური წარმომადგენლები პრესიდან გადადიან სარევოლიუციო ორგანიზაციაში და ამნაირად იკეთებენ საქმეს, რომელთაც მონელება შეუძლებელია უბრალო მასლაათშიაც".

მაგრამ წერეთლის წინააღმდეგ გალაშქრება რა სახსენებელია, როცა ფედერალისტები ამიერ-კავკასიის ცენტრის წინააღმდეგაც კი მიდიან.

დროა აილაგმონ ეს სოციალისტურ სამოსელში გახვეული კონტრ-რევოლიუციონერები, რომელნიც ამ საერთო უბედურების ჟამს რევოლიუციის ცენტრს თავს ესხმიან.

⁂

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქციას იმ დიაკვანივით მოსდის, რომელმაც მარტო საკუთარ დავითნის კითხვა იცოდა. „ერთობა"-ში დახასიათებული გვქონდა ჩვენი დამოკიდებულება მუდმივ ჯარისადმი. „საქართველო" კი ფიქრობს, რომ ჩვენ დღეს გამოცხადებულ მობილიზაციის წინააღმდეგ მივდივართ და კითხულობს:

> „სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს კომედია. გარედან ჩვენს სამშობლოს შუაზე გაკვეთას უპირებენ და შინაური ანარქია მას ანადგურებს... მობილიზაცია მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა და მენშევიკური კომიტეტები ხალხს იარაღისკენ მოუწოდებენ. მთავრობის გაზეთი „ერთობა" კი ყოველ დღე იმის მტკიცებაშია, რომ რეგულიარული ჯარები დემოკრატიის მტერია და მის დასაღუპათ არის გაჩენილიო".

მუდმივი ჯარის მნიშვნელობა ყველა სოციალისტმა იცის და „საქართველო"-ს არავინ არ სთხოვს, რომ ისიც სოციალისტურათ ფიქრობდეს, მაგრამ როგორ ვერ გაიგო მან, რომ **მობილიზაცია ეხლა თვით არის გამოცხადებული, რაც სწორეთ მუდმივ ჯარის უარისყოფას ნიშნავს**. „საქართველო" კი ცდილობს თავისი სურვილები ამიერ-კავკასიის კომისარიატის სურვილებათ გაასაღოს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ იმპერიალისტების მადა ჩვენს ეროვნულ დემოკრატებსაც აღძვრიათ.

მათ მონაწილეობაც კი მიუღიათ თფილისის სამარცხვინო ამბებში.

კარლო ჩხეიძის სიტყვა

(წარმოთქმული ამიერ კავკასიის სეიმის 27 თებერვლის სადღესასწაულო სხდომაზე).

მოქალაქენო, სეიმის წევრნო! 1917 წლის 27 თებერვალს არა მარტო რუსეთის ისტორიაში, არამედ—მთელი კაცობრიობის ისტორიაშიც გადაიშალა ახალი ფურცელი. რუსეთის რევოლიუციის მძლავრი დაკვრით დაიმსხვრა მეფის თვითმპყრობელობა და მთელი კულტურული ქვეყანა, მთელი კაცობრიობა განთავისუფლდა ცარიზმის შიშისაგან. კაცობრიობა განთავისუფლდა ჩრდილოეთის ჟანდარმის, ბურჟუაზიის ყოველგვარ რეაქციის ამ ერთგულ დარაჯის მაგარ ხელებისაგან. რევოლიუციონურმა რუსეთმა აუწყა ქვეყანას, რომ იგი სავსებით შევიდა თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ოჯახში, შესდგა სწორეთ იმ გზაზე, რომლითაც მიდიოდა განათლებული კაცობრიობა სოციალიზმის საშეფოს ბრწყინვალე მომავლისაკენ. მას შემდეგ გავიდა ერთი წელი, წელი ტანჯვის, წელი ალსავსე უდიდეს განსაცდელით, როგორიც ოდესმე კი სწვევია ხალხებს. და რას ვხედავთ ჩვენ ამ ჟამათ!..

დაფლეთილ ქვეყანას, რომელიც წამოჩოქილია ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით და უცდის ისტორიის განაჩენს. მიზეზები ბევრია, მოქალაქენო, სეიმის წევრნო, რომელთა ძალით ჩვენ ჩავარდით ასეთ ტრაგიკულ მდგომარეობაში, მაგრამ ერთი რამ ჩვენ დღეს უნდა ვსთქვათ სრულიად აშკარად და გარკვევით და მტკიცეთ დავიხსომოთ: ჩვენ დიდხანს ვითმინეთ მეფის თვითმპყრობელობის უღელი და მე რომ ისტორიული ნემეზიდა (შურის ძიების ღმერთი) მწამდეს, ვიტყოდი, რომ იგი სამაგიეროს გვიხდის ჩვენი დიადი მოთმინებისათვის. მონობაში აღზრდილმა საზოგადოებამ ისეთ დიდებულ მომენტშიაც, როგორიც 1917 წ. 27 თებერვალია სავსებით ვერ გაიგო და ვერ განიმსჭვალა სიყვარულით თავისუფალ ქვეყნის, თავისუფალ რუსეთისადმი.

ძველი ფსიხოლოგია არ გამქრალა ერთ წუთში და ჩვენ რუსეთს კიდევ ისე ვუცქეროდით, როგორც თვითმპყრობელობის საკუთრებას, არა როგორც კეთილ დედას, არამედ—როგორც ბოროტ დედინაცვალს. მაგრამ რევოლიუციის ღმერთი, ხალხის შემოქმედების ღმერთი სულგრძელი და კეთილისმყოფელია. მას ჯერ კიდევ არ დავუტოვებივართ სავსებით გატეხილ გობთან. ჩვენს ხელში დარჩა კიდევ რევოლიუციის მოპოვებანი და შემდეგი ჩვენი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენ შემდეგში რევოლიუციის იმ მონაპოვარს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია. გავიგებთ თუ არა ჩვენ, მოქალაქენო, სეიმის წევრნო, და ვიგრძნობთ თუ არა ეხლა მაინც, რომ რუსეთი დიდი ხანია არ არის რომანოვებისა და მის ჯალათების საკუთრება, რომ თავისუფალი რუსეთი, რევოლიუციონური რუსეთი—ეს ჩვენი რუსეთია და რომ ჩვენ მზათ ვართ მივცეთ მას მთელი ჩვენი სიცოცხლე.

მოქალაქენო, სეიმის წევრნო, ამიერ-კავკასიის დემოკრატია ყოველთვის რევოლიუციის მოწინავე რაზმში იდგა, იგი ახლაც დგას თავის „პოსტზე" წითელი დროშით ხელში და იმ დროს, როცა დანარჩენ რუსეთში გამეფებულია ქაოსი და რღვევის პროცესი, ამიერ-კავკასიის დემოკრატია მიდის სწორი გზით ბრწყინვალე მომავლისაკენ და რამდენათ უფრო ეს ქაოსი ვრცელდება რუსეთში, იმდენათ მეტი იმედით შემოგცქერით იგი თქვენ, ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. მაშ გავამართლოთ ეს იმედები, მოქალაქენო, სეიმის წევრნო, ვთქვათ სიტყვა და ეს სიტყვა საქმეთ ვაქციოთ. ჩვენ მთელს ჩვენს ძალებს ვაძლევთ რევოლიუციას და საკუთარი მკერდით დავიცავთ მას როგორც შინაურ მტრებისგან, რომლებიც მრავლდებიან არა დღეებით, არამედ—საათობით, ისე გარეშე მტერთაგან, რომლებსაც ასე კადნიერათ და ასე ცინიკურათ სურთ აღმართონ მახვილი დიდი რევოლიუციის წინააღმდეგ (ტაში).

გაუმარჯოს დიდ რევოლიუციას.
გაუმარჯოს ხალხთა სოლიდარობას.
გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი რევოლიუციის წლის თავი.

რუსეთის დიდი რევოლიუციის წლის თავის გამო „ბორბა"-ში სტან. ვოლსკი შემდეგს სწერს: მიზეზები, რა თქმა უნდა, ბევრია და მათ შორის პირველ ალაგას თითქმის არის ისეთი უცილო ფაქტები, როგორც განსაცვიფრებელი სიბეცე და უნიჭობა ბურჟუაზიული დემოკრატიისა, ერთის მხრით, რომ მას მსხვერპლი გაეღო და ქვეყნისათვის აეცდინა დემაგოგიური დამღუპავი აგიტაცია მემარცხენე მიმდინარეობათა. მაგრამ არსებითად ეს ხომ იმდენათ მიზეზი არ არის, რამდენათაც მისი ნიშანი. მილიუკოვის პოლიტიკურ სიბეცეს და ლენინის ალვირ-წახსნილ ანარქიზმს შეეძლო მასსაში გამოძახილი ეპოვა და შეეძლო მოვლენათა მსვლელობაზე გავლენის მოხდენა. მილიუკოვი და ლენინი ეს ავათმყოფობის ნიშნებია და არა მისი მიზეზი. ძირითად მიზეზს კი ჩვენ ვიპოვით არა პოლიტიკაში, არამედ—ეკონომიკაში; დეკლარაციებში და ბელადების სიტყვებში კი არა, არამედ—ქვეყნის იმ სამეურნეო წინააღმდეგობაში, რომლის წინაშე რუსეთი დააყენა მსოფლიო ომმა. რომ აწარმოვო ომი და მისი შედეგებიც წარმატებით მოსპო, ამისთვის საჭირო იყო წარმოების, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სხ. სახელმწიფოებრივათ მოწყობა; დასავლეთ ევროპამ ეს შესძლო. იქ შექმნეს ახალი სამეურნეო წესი, სადაც დაცული იყო შეძლებულ კლასთა უპირატესობანი, მაგრამ ამასთანავე ხალხსაც ეძლეოდა საშუალება გამოკვების, ჩაცმა-დახურვის, ერთი სიტყვით, ადამიანური არსებობის. დასავლეთ ევროპამ სოციალური წინააღმდეგობანი თავის დროზე დათმობით და შეთანხმებით შესუსტა. ამ გვარივე ამოცანა დაუდგა წინ გადასაწყვეტად რუსეთსაც. იმ დროს, როცა ევროპაში საკითხის აგრე გადასაჭრელათ შესაფერი პირობები მოიპოვებოდა, რუსეთში არც ერთი ამგვარ პირობათაგანი არ ყოფილა. სულიერათ ღარიბი, დამყაყებული ბურჟუაზია და საქმიანობას მოკლებული ინტელიგენცია, აი ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც უნდა მომხდარიყო რუსეთის სამეურნეო ცხოვრების გარდაქმნა. რევოლიუციამ კი გაუვალი უფსკრული გაავლო შეძლებულ კლასთა და ღარიბ ხალხს შორის, ბურჟუაზია საქმეს ჩამოაშორა და ამით კიდევ უფრო საძნელო გახადა მის წინაშე მდებარე საკითხების გადაჭრა. ამიერიდან ყველა საკითხები, რაიც ქვეყნის სამეურნეო გარდაქმნას შეეხებოდა, უნდა გადაეჭრა რევოლიუციონურ დემოკრატიას ბირჟების მეფეთა და კაპიტალის მაგნატთა დაუხმარებლათ. საქმის მსვლელობისთვის სტიქიური ხასიათის მიცემა ნიშნავდა თავის დადებას აშკარა დასაღუპავად. წინ გაქანება უცნობ სივრცეში გადახტომას მოასწავებდა, სადაც შესაძლო იყო კისრის მოტეხა. დემოკრატიამ აირჩია ეს მეორე გზა, ვინაიდან მას მეტი გამოსავალი გზა არ ჰქონდა.

რუსის დემოკრატიამ ეს სახიფათო გზა აირჩია მიუხედავათ იმისა, რომ მის წინააღმდეგ იყო ძველი ქვეყნის ყველა ძალები: შეძლებული კლასების სიძლიერე, გლეხების უვიცობა, პროლეტარული მასსების „მეშჩანური" ინსტიქტები, რაიც კლასიურ ბრძოლას ჯერ კიდევ არ მოუსპია; ფრაქციული გაუტანლობა, განუსაზღვრელი რწმენა ლამაზ სიტყვებისადმი, პრაქტიკულ მუშაობის ინსტიქტიური ათვალწუნება. ყველა ეს მიზეზები დემოკრატიის წინააღმდეგ აღიმართენ. რუსეთის რევოლიუციის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მას უნდა გაეკეთებია ის, რის გაკეთებაც მას არ შეეძლო. რევოლიუცია ორ ცეცხლს შუა მოემწყვდა. ერთის მხრით იდგა განუწყვეტელი მოთხოვნანი მსოფლიო ომისა, მეორე მხრით ქვეყნის ნივთიერი ჩამორჩენა; რევოლიუცია სისხლისაგან იცლებოდა. ერთი ლოზუნგიდან მეორეს ეპოტინებოდა, ერთი ბელადის მაგიერ მეორეს მისდევდა. და ყოველ თვეში ინგრეოდა ის სოციალური საძირკველი, რომელზედაც ის თავისი იმედის აშენებას ამყარებდა.

აღარ არის მთლიანი რევოლიუციონური ჯარი. ის გაიფანტა როგორც კვამლი, დაიბნა, როგორც ცხვრის ფარა მინდვრად. ეს ჯარი დანაწილდა წითელ გვარდიელებათ, შავ და ხელოსან მუშებათ, და ყველა ეს ჯგუფები ერთი ერთმანეთს ებრძვიან და თავიანთ დროშაზე ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს აწერენ.

რევოლიუციონური გლეხობა—ის უკვე შესდგება კერძო მესაკუთრეებისაგან, რომელიც წეს-რიგს მოითხოვს და იმ გვარ კერძო მესაკუთრეთაგან, რომლებიც ანარქიის მღვრიე წყალში თევზებს იჭერენ.

რევოლიუციონური ბელადები... ზოგიერთი მათგანი გაქცეული არიან, ზოგიერთები საიდუმლო ბინებზე ცხოვრობენ, ზოგნი დაქირავებული ხიშტებით გარშემორტყმულნი ჩამოშორდენ მასსას.

გარხწნის მიკრობები ყველგან ჰქმნიან თავიანთ საქმეს და თითქოს სიკვდილის ანგელოზი დაუძლურებულ ქვეყნის თავთან დგას. მაგრამ მაინც ადრეა ჯერჯერობით პანაშვიდის გადახდა და ნეკროლოგის წერა.

დეე, რევოლიუციამ გაგვატიტვლოს და დაგვანახვოს ის, რაც ჩვენ ვართ სინამდვილეში. და თუ ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლით თვის მუშაობას კრიტიკა გავუკეთოთ, ვერ შევიგნეთ ჩვენი შეცდომები, მხოლოდ მაშინ, როცა ახალი უბედურება კვლავ დაგვატყდება თავს ამ გვარი მუშაობის შემდეგ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რაც არ განიკურნება ცეცხლით, მას განკურნებს სიკვდილი". მხოლოდ მაშინ და არა მანამდე უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავათ ჩვენი ჩამორჩენილობისა, რევოლიუცია საჩქაროდ გვასწავლის და თუ ჩვენ კარგათ გავიკვლევთ მიღებულ გაკვეთილებს, შეიძლება გადავლახოთ ის გაუვალი სიძნელე, რომელსაც დაეჯახა რევოლიუციის პირველი ტალღები.

კავკასიის ფრონტი

ერზერუმის აღება.

ოსმალთა ჯარების მიერ ერზერუმის აღების შესახებ ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარეს შემდეგს ატყობინებენ დეპეშით: გენ. ვიშინსკის დეპეშის პირი —„გასან-კალიდან პოლკოვნიკ ზანკევიჩმა მომახსენა, რომ 27 თებერვალს გათენებისას ერზერუმის ციხის ჯარების ნაწილებმა სომეხთა პირველი პოლკის მეთაურობით დასტოვეს ქალაქი. დილიდანვე ოსმალებმა იერიშები მოიტანეს ხარპუტის, ტრაპიზონის და ოლთისის მიმართულებით. დილის 7 საათზე ტრაპიზონიდან შემოსასვლელი გზა მათ დაიკავეს, მიუხედავათ იმისა, რომ ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი კაპიტან სტაიაკინის მეთაურობით თავგამოდებით იცავდა ამ გზას. ამის შემდეგ დაიწყო სტიქიური დახევა მთელი ჯარებისა გასან-კალისაკენ. გასან-კალაში გენერალ ანდრანიკას და ხნისში პოლკოვნიკ ოსიპოვს ჯარის უფროსმა გადასცა შემდეგი ბრძანება. ვუბრძანებ გენ. ანდრანიკს ერზერუმის რაზმი შეკრიბოს გასანკალაში და მიიღოს ყოველივე ზომები რაზმის დასამშვიდებლათ და მის მოსაწესრიგებლათ. ერზერუმის რაზმი, რაც შეიძლები დიდხანს უნდა გამაგრდეს გასან-კალის რაიონში და დაიფაროს კეპრიკეის-ხნისის მიმართულებით დახეული ნაწილები. პოლკოვნიკ ოსიპოვს ვუბრძანებ ხნისის რაზმთან ერთად ახლავე შეუდგეს კეპრი-კეისკენ თანდათანობით დახევას. ამ ადგილას მისვლისთანავე მთელი ხნისის რაზმი გენერალ ანდრანიკის განკარგულებაში გადადის. კორმუჩის რაზმი ახლავე შეუდგეს კარაკლისისკენ დახევას".

ოდიშელიძე.

ვინაიდან არავითარი კავშირი არა გვაქვს ვანთან, ჯარების უფროსის ბრძანების თანახმად, გთხოვთ ვანში მყოფ ჯარების უფროსს გააცნოთ საქმის ვითარება და შესაფერი განკარგულებაც გადასცეთ მას. ვიშინსკი.

27 თებერვლის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად, რომელსაც ხელს აწერს გენ. შატილოვი, მდგომარეობა ასეთია: 25 და 26 თებერვალს ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ილინჯინის და ტაკია დარასინის რაიონიდან ერზერუმისაკენ დაიხიეს, ვინაიდან მათ აქ ვერ გაუმაგრდენ ოსმალთა ძლიერ რაზმებს. ოსმალთა რაზმები აქ შეიარაღებულნი იყვენ ზარბაზნებით, ტყვიის მფრქვევლებით, რაზმში იყო აგრეთვე ცხენოსანი ჯარი. აქ ჩვენ მოგვიკლეს 10 კაცი, დაგვიჭრეს—180, უკვალოდ დაიკარგა 50. გაკაწრულია პოლკოვნიკი ტორკოში და მძიმეთ დაიჭრა ტერ-დანიელიანი.

ხნისის მიმართულებით სოფ. მანჯიდლის რაიონში ჩვენმა მილიციონერებმა მოიგერიეს ქურთების თავდასხმა. ხნისის სამხრეთით კელლის რაიონშიაც აღმოჩენილ იქნენ ქურთები. ჩარ-ბორხის რაიონშიაც მოვიგერიეთ ქურთების თავდასხმა. ახლატის რაიონში მოწინავე ნაწილების შეტაკებები ხდება.

ერზერუმის დატოვებისას ბრძანება იყო გაცემული არტილერიის წაზიდვის შესახებ. ზოგიერთ ზარბაზნებს გასაღებები აართვეს, საინტენდანტო საწყობები დაიწვით გარდა ერთი დიდი სასურსათო საწყობისა, რომელიც ტრაპიზონიდან შემოსასვლელ ჭიშკართან იყო. საარტილერიო საწყობში ახალის სიმაგრესთან ასაფეთქებელი მასალა გავუკეთეთ, რომელიც უნდა აფეთქებულიყო 27 თებერვალს შუადღისას. ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს დაახლოვებით 200 კაცზე მეტი. დაახლოვებით 20 აფიცერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ამიერ-კავკასიის ამბები

ერევნის გუბერნიაში. ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარემ კ. ჩხეიძემ სეიმის მიერ ერევანში გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარის გრ. გიორგაძისაგან 28 თებერვლის თარიღით მიიღო შემდეგი დეპეშა: „ერევანში და დავალლუს რაიონში ამ ჟამათ სიწყნარეა. დელეგაციამ ინახულა კამარლიუ, დავალლუ და გუშინ გაემგზავრა როშისაკენ. „ვოლჩიი ვოროტა"-სთან აღმოჩნდა დამწვარი ორი ხიდი. ამიტომ დელეგაცია იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. გზაში დელეგაციას ხვდებოდენ მუსულმანები და სომხები. დელეგაციამ კატეგორიული წინადადება მისცა მათ შეეწყვიტათ მტრული მოქმედება. მცხოვრებნი დაპირდენ ამ მოთხოვნილების შესრულებას. რკინის გზის სადგურები კამარლიუს გარდა გადამწვარია. განადგურებულია დარაჯთა სადგომები, ყაზარმები და ტელეგრაფის მავთულები. დაზარალდა მუსულმანთა ბევრი სოფელი. დაწვრილებით მოვახსენებთ სეიმს. ამ ჟამათ სამგზავრო მატარებლების გაგზავნა თავისუფლათ შეიძლება კამარლიუმდე. კამარლიუს იქით მოძრაობის განახლება უნდა მოხდეს თანდათანობით".

გრ. გიორგაძე.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

გენ. ოდიშელიძისაგან ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 27 თებერვლის თარიღით გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა მიიღო: „გთხოვთ გადასცეთ ეს დეპეშა ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარეს ჩხეიძეს და კომისარიატის თავმჯდომარეს გეგეჭკორს.

თქვენი დეპეშა № 3766 მივიღე. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია მოვიდა ტრაპიზონში და მე წინადადება მივეცი ჩვენს დელეგატებს სთხოვონ რუსის დელეგაციას საჩქაროთ შეუდგენ საქმეს. გამოვსთქვამ ორივე მხარისთვის სამართლიან და საპატიო ზავის საფუძვლის შემუშავების სურვილს.

გთხოვთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს თქვენდამი განსაკუთრებულ პატივისცემაში.

ოსმალეთის ჯარის სარდალი
ვეხიბ-ფაშა".

ახალი ამბები

კავკასიის სასურსათო კომიტეტი საჭიროთ სცნობს მოხდეს რეორგანიზაცია ზემოხსენებულ კომიტეტის. შეერთებული კავკასიის სასურსათო კომიტეტი ვერ აღწევს თავის მიზანს, რადგანაც მას მნიშვნელობა ქონდა მაშინ, როდესაც არ იყო დარღვეული ცენტრი, როდესაც ის შეადგენდა ნაწილს მთელი რუსეთის სახელმწ. სასურსათო ორგანიზაციისა. ეხლა კი, როდესაც ერთი მხარე მოწყვეტილია მეორეს, და ყოველივე მხარე წარმოადგენს ავტონომიურ ერთეულს არსებობა შეერთებულ კავკასიის სასურსათო კომიტეტის იმ სახით, როგორც იყო დღევანდლამდე ვერ აღწევს თავის დანიშნულებას. საჭიროა ამიერ-კავკასიის მთავრობამ შექმნას ერთი მთლიანი ორგანო სასურსათო, რომელიც შევა ჩრდილო-კავკასიის სასურსათო კომიტეტში- როგორც თანასწორი და ავტონომიური ერთეული. და ეს შეერთებულმა ორგანომ უნდა მოაწესრიგოს სურსათის განაწილება მთელს კავკასიაში,

◆ **ადგილობრივი „ბონები".** ყოველ დღე იბეჭდება 600—700 ათას მანეთამდე „ბონები": ას მანეთიანები, 50 მან., 25 და 5 მანეთიანები. მალე შეუდგებიან 3 მან. „ბონის" ბეჭდვას. დაბეჭდილი „ბონები" გადადის სახელმწიფო ბანკის განკარგულებაში და შემდეგ ის ანაწილებს.

◆ **თბილისის უნივერსიტეტი.** უნივერსიტეტის კომისიამ ამიერ-კავკასიის კომისარიატს წარუდგინა გეგმა მომავალ სახელმწიფო უნივერსიტეტისა. კომისიის აზრით უნდა დაარსდეს ხუთი ფაკულტეტი: ფილოლოგიური, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტი, ფიზიკო-მათემატიკური, იურიდიული და საექიმო. ამ გეგმას ამიერ-კავკასიის კომისარიატი წარუდგენს სეიმს განსახილველათ.

◆ **ჯამაგირების მომატება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა სახელმწიფო მოსამსახურეთა ყრილობის მიერ შემუშავებული ჯამაგირები დ ახლო ხანში წარუდგენს დასამტკიცებლათ სეიმს.

◆ **საქონლის გადმოტანა ბათუმიდგან.** თფილისის სადგურის უფროს ბათუმიდგან დეპეშით ატყობინებენ, რათა მან დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბათუმში დღეში ასი ვაგონი საქონლის გადმოსატანათ.

◆ **საგამომცემლო კომისიის კრება.** კვირას, 4 მარტს 11 საათზე გაზეთ „ბორბის" კანტორაში მოხდება საგამომცემლო კომისიის კრება. რადგანაც საკითხი ფრიად საყურადღებოა ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრან კრებას. აგრეთვე სთხოვენ დაესწრან კრებას რაიონის კოლექტივის წევრებს.

◆ **ამიერ-კავკასიის კომისარიატთან** არსებულმა მცირე საბჭომ მიიღო რა მხედველობაში სასახლის დაბალ მოსამსახურეთა გაჭირვებული მდგომარეობა, გადასწყვიტა აღმოუჩინოს მათ ერთდროულათ 18 ათასი მანეთით დახმარება.

◆ **ახალი კოოპერატივის გახსნა.** თფილისში გაიხსნა ახალი კოოპერატივი „ბოსტანი", რომლის მიზანია თფილისს და მის გარშემო მდებარე მიდამოებში ხელი შეუწყოს ბოსტნეულების გაშენებას.

◆ **ქუთაისის გუბერნიის კომისრათ** ნაცვლათ გრ. გიორგაძისა, რომელიც სეიმის წევრათ არის არჩეული, დაინიშნა ივ. კაჩუხოვი.

◆ **მკვლელობა.** 27 თებერვალს წითელ რაზმელებმა შეამჩნიეს, რომ კანტორა „ნახშირის" ბინაზე იმყოფებოდა მიხეილ ელიაშვილი, რომელსაც აბრალებდენ ერთ წითელ რაზმელის მოკვლას. დაატყო რა მ. ელიაშვილმა, რომ რაზმელებს მისი დაჭერა სურდათ, ამოიძრო რევოლვერი და გაქცევა დააპირა, მაგრამ იქვე იქნა მოკლული.

◆ **სად. აქსტაფის კასის გაძარცვა.** როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, 26 თებერვალს სადგურ აქსტაფის ბილეთების კასას თავს დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატეხი კლდისა

დაე, ჩამოკრან წყრომის ზარი, მწუხრის ძახილში,
დაე, ვით ფერფლი, შორს მიჰქროდეს სიამე დღისა,
ჩვენი ყიჟინა არ შედრკება ღამის სიცილში,—
ჩვენი ძახილი ნატეხია ამაყი კლდისა!..

დაე, ხან ცრემლი იფრქვეოდეს, ვით სისხლი წყლულის,
ხან კი ნაღველი იცლებოდეს, ედინოს მიწას,
ყოფნის მწვერვალზე გადიქროლებს ხმა სიყვარულის
და ამ ქროლვაში ჩვენ აღვადგინეთ უძლეველ მიზანს!..

მოქალაქენო! საქმე თქვენი ვინ მოიწონოს—
თუ არა ბრძოლამ სიმართლისა—სისხლის ველებზე,
ამაყი სული ქარიშხალმა ვერ დაიმონოს,
წყრომის ისრები დე, დაიმსხვრეს ძლევის კედლებზე!..

დაე, ჩამოკრან წყრომის ზარი—მწუხრის ძახილში,
დაე, ვით ფერფლი შორს მიჰქროდეს სიამე დღისა!..
ჩვენი ყიჟინა არ შედრკება ღამის სიცილში,
ჩვენი ძახილი ნატეხია ამაყი კლდისა!..

იანეთი.

გელა.

ხმიან რუსეთში მიმავალი ჯარისკაცნი და გაუძარცვავთ.

◆ **იურიდიული კურსების გახსნა.** ვექილი მაქსიმოვი ხსნის თფილისში იურიდიულ კურსებს.

◆ **მიმავალი ეშელონები.** მე-300 ვერსზე ამ ჟამად ფრონტიდან მომავალი ეშელონები კვლავ იყრიან თავს. 25 თებერვალს მე-300 ვერსიდან გამგზავრებული 9 ეშელონი 27 თებერვალს დილით მშვიდობიანათ განშორდენ განჯას. ასევე მშვიდობიანათ გაიარეს მათ საღამოს 6 საათამდე ყველა სადგურები სად. ევლახამდე. 28 თებერვალს, დილის 10 საათზე ეშელონები უკვე ბალაჯარაში იყვნენ, საიდანაც პირდაპირ დონის როსტოვში გაემგზავრნენ.

◆ **სად. აგ-ტაგლში** თავი მოუყრია მძარცველთა ბრბოს. მგზავრებს სძარცვავენ. აპირებენ თფილისიდან მომავალ მატარებლის გაძარცვას. საჭიროა სასტიკი ზომები მიიღოთ ავაზაკთა წინააღმდეგ.

◆ **წარმოდგენა.** ავჭალის აუდიტორიაში შაბათს, 3 მარტს, არსებული წრის სცენის მოყვარეთა მიერ მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური დრამა გორდელისა „გაწყვეტილი სიმი“. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

◆ **ირ. წერეთლის სურათი,** კანტორა „განათლების“ გამოცემა, რედაქციამ მიიღო. სურათი სუფთა გამოცემაა, კარგს ქაღალდზე და ღირს ერთი მანეთი.

◆ 28 თებერვალს თფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე მოხდა კრება. კრებას მოკლეთ დაუსურათა ამხ. ლონდონრიძემ დღევანდელი მომენტი და წინადადება მისცა ქართველ ქალთა სანიტარულ რაზმის დაარსებისა. არჩეული იქნას კომისია ექვსი პირისაგან, თავმჯდომარეთ ამ. ს. ლონდონრიძე, მდივნათ ამხ. ს. ნამგალაური, ხაზინადრათ პ. ფხალაძე. ამ კომისიას მიენდო შეიმუშაოს რაზმის შედგენა. ჩაწერა შეიძლება ამ. ლონდონრიძესთან დილის 10—2 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70.

◆ **დაკარგული ბავშვი.** მეშვიდე თვეა, რაც არაფერი იცის მისმა მშობლებმა ონიფანტე პეტრეს ძე კეშელავას. ის 14—15 წლის იქნება. ბოლო ხანებში მსახურებდა თფილისში ქართული კლუბის ბუფეტში. გთხოვთ, თუ ვინმე არის მნახველი, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თფილისი, სასტუმრო „ავრორა“, გიორგი გრ. გოგიტაძეს.

პროვინციის ქრონიკა

ფოთი. ნაწილი ფოთის წითელგვარდიელებისა გაემგზავრენ ბათუმში, მისი საშიში მდგომარეობის გამო. რომელიც გამოწვეული იყო უკანასკნელი ამბებით. მოწყალების დათ აქ ჩაეწერა ოციოდე ქართველი ქალი.

— ადგილობრივ პოზიციურ ბატარეაში მოხალისეთა კომპლექტი უკვე შესრულდა. ბატარეაში—35 კაცია. მაცადინეობა—კვირაზე მეტია, რაც დაიწყეს.

ბორჯომი. 22 თებერვალს თფილისის გუბერნიის კომისრის განკარგულებით ბორჯომის რაიონის კომისარი აკ. ტყემალაძე გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და წინადადება მიეცა მას, რათა 24 საათში დასტოვოს ბორჯომი. იმავე გუბ. კომისრის განკარგულებით ამას წინათ დატუსაღებული ადგილობრივი სამხედრო მაღაზიის ზედამხედველი ბ. კიკვიძე გაიგზავნა გორის ციხეში.

ლევან დადიშქელიანი

ყველას, ვინც კი მას იცნობდა, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ის, სისხლი ძარღვებში გაეყინება, განუზომელ გულის ტკივილს იგრძნობს, სულის შემხუთველ მდგომარეობას განიცდის, როცა ამ შავი არშიით შემოვლებულ სიტყვებს წაიკითხავს.

ეს შავი არშია გვამცნობს გულის მომკვლელ ამბებს—ლევანი მოკვდა! კითხულობ ამ სიტყვებს და არ გჯერა, რომ ეს სიმართლეა, არ გჯერა, რომ ისეთი მუხანათი, ისეთი მხეცი, ისეთი გარყვნილ-გათახსირებული ვინმე გამოჩნდებოდა ჩვენს ქვეყანაში, რომ თავის მურტალი ხელით მახვილს ჩასცემდა ლევანის ბროლივით კრიალა გულს, იმ გულს, რომელიც მხოლოდ მარტო მშრომელი ხალხისთვის სძგერდა, იმ გულს, რომელიც ჩაგრულთა ბარომეტრი იყო.

არ გჯერა, მაგრამ სინამდვილეს გვერდს ვერ აუხვევ: ლევანი მოჰკლეს, ვერაგულათ, მუხანათურათ.

როგორც საზოგადოთ ყველგან ჩვენში, იქაც შორეულ სვანეთის მთებშიც გამოჩნდა მურტალი ხელი, რომელმაც არ დაინდო ეს სპეტაკი გული და სამუდამოთ შესწყვიტა მისი ძგერა, ბინძური ხელებით დაანთხია უმანკო სისხლი.

ფრონტზე „ბალშევიკურ მეცნიერებით განათლებულმა“ დაბრუნებულმა ზოგიერთმა ჯარისკაცებმა, როგორც ყველგან, სვანეთშიაც დაიწყეს დარბევა და განადგურება. ლევანი წითელ რაზმელებით წავიდა ს. ალპანში, სადაც ეს ყოფილი ჯარისკაცები უწესობას ახდენდენ, რომ მშვიდობიანათ გაეთავებინა საქმე და წესიერება ჩამოეგდო, მაგრამ მხეცებმა ის არ დაინდეს და მოჰკლეს.

ვინც იცნობდა ლევანს, იმისთვის საჭირო არაა მისი დაწვრილებით დახასიათება, საკმაოა სამი მისი უდიდესი ღირსება მოვიგონოთ, რომ ლევანი თვალწინ დაგვიდგეს. ის იყო საუკეთესო ამხანაგი, ის იყო სპეტაკი გულის პატრონი, პატიოსნების და სინიდისის განხორციელება და თავდადებული რევოლიუციონერი. ყველა სხვა ღირსებებთან მასში ამ სამ უმაღლეს ღირსებას მტკიცე საფუძველი ჰქონდა და არაფერს არ შეეძლო მისი შერყევა. ის უმაღლეს ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ წოდების ფსიხოლოგია მას ვერ შეეთვისებია, მას ამ წოდების არა ეცხო რა, მისი გულის სიმები მშრომელ ხალხისთვის იყო მომართული და მისთვის მღეროდა.

მას აკვანშივე გულში ჩამარხული ჰქონდა ხალხის სიყვარული და მას შესწირა სიცოცხლე. ის როგორც საზოგადოებრივ, ისე ეკონომიურ მდგომარეობით უზრუნველყოფილი იყო, მას შეეძლო გაუჭირვებლათ ცხოვრება, მაგრამ ის ამ მდგომარეობას ვერ ურიგდებოდა და მშრომელ ხალხისაკენ მიიწევდა, რომ იქ ჩამდგარიყო, გაეზიარებია მათი ჭირი და ლხინი და საზოგადო საქმე გაეკეთებია.

1905 წლიდან ის თავდადებულათ მუშაობდა ს.-დემოკრატიულ პარტიაში. და ყოველივე გაჭირვებას მამაცურათ იტანდა, გაკაჟებული გულით უმკლავდებოდა მოსულ მტერს.

საკმაო იყო ლევანის გაბრწყინებულ სახეზე ერთი შეხედვა, რომ გული იმედებით აგვსებოდა, ის ერთხელაც არ შეშმუხვნილა, ერთხელაც არ გაუვლია მის გულში უიმედობის შავ გრძნობას. მას მტკიცეთ სწამდა, რომ მისი იდეა ბოლოს ფრთებს შეისხამდა და შავ ღრუბლებს გაჰკვეთთა თავისუფლების სხივი.

მისი იმედი გამართლდა, ამობრწყინდა თავისუფლების სხივი, მაგრამ ის ვეღარ ეღირსა, დროებით უგუნურთა ბრბოსაგან ტალახით გათხუპნილი, ეს სახელი კვლავ განწმენდილიყო და უფრო ძლიერათ გაენათებია. შავ-ბნელ დროში, მეფის ჯალათებს გადაურჩა ლევანი, მათ ვერაფერი დააკლეს და ეხლა კი, შინ მისივე მოძმე-მეზობელმა, მხეცმა უღთოთ ჩაკლა ის, ვინც ამ მხეცისთვის სდებდა თავს.

ჟანდარმებმა ვერაფერი დააკლეს ლევანს, მაგრამ შინაურმა ბინძურმა ხელმა ჩამოკრა ჩახმახს და სამუდამოთ თვალები დაუხუჭა ამ სპეტაკ ადამიანს, მისი წმინდა სისხლით შეღება გაუბედურებული დედა-მიწა.

ლევანი მოკვდა!.. მაგრამ არ მჯერა, რომ ეს მართალია, გინდა ტყუილი გამოდგეს, თავს იმედს აძლევ... მაგრამ, არა, რაღაც შავი ყორანივით ყურში ჩაჩხავის... მოკვდა!.. მოკვდაო!..

ვინც ლევანს იცნობდა და გულის მაგიერ ქვა არ უდევს, მისი სახე ნათელ სვეტათ იქნება ამ გულში, თავის დღეში მას არ დაივიწყებს და ყოველ მის მოგონებაზე მწარეთ ამოიკვნესებს.

ირეთელი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

(28 თებერვლის სხდომა).

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

ფინანსთა სამინისტროს კომისარი ხ. კარჩიკიანი სთხოვს სეიმს მიეცეს ამიერ-კავკასიის კომისარიატს უფლება აღმოუჩინოს სესხით დახმარება სხვადასხვა ორგანიზაციებს, სანამ თვით სეიმს არ შეუქმნია ფინანსიური აპარატი.

ნოე რამიშვილი მომხრეა მიეცეს ასეთი უფლება ამიერ-კავკასიის კომისარიატს და მოითხოვს არჩეულ იქნას საბიუჯეტო-საფინანსო კომისია.

ეს წინადადება მიიღეს და აირჩიეს საფინანსო კომისია 15 კაცისაგან შემდგარი.

ალ. ლომთათიძე აკეთებს მოხსენებას სამანდატო კომისიის სახელით. სიონისტებისა და სომეხთა სახალხო პარტიის თხოვნა, რომ მათაც მისცემოდათ თითო ადგილი სეიმში, კომისიას არ დაუკმაყოფილებია, ვინაიდან პირველთ (სიონისტებს) მიეღიათ მხოლოდ 8 ათასამდე ხმა, ხოლო მეორეს—19 ათასამდე. ერთი დეპუტატის გასაყვანათ კი საჭიროა 20,661 ხმა. სეიმმა დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

წაკითხულ იქნა სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარის დეპეშა (ეს დეპეშა დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში).

თავმჯდომარე აუწყებს დამსწრეთ ამხ. ლევან დადიშკელიანის ვერაგულათ მოკვლას, რომელსაც ახასიათებს, როგორც საუკეთესო ეროვნულ მომუშავეს სახალხო საქმისთვის. თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს მიცვალებულის ხსოვნას.

ამასპიური აცხადებს, განჯის მოქალაქეთა და დაშნაკცუთიუნის კომიტეტები მთხოვენ გადმოგცეთ თქვენ, რომ განჯაში მოსალოდნელია სერიოზული ამბები მოხდეს. საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები. სომხების ნაწილი სავსებით მოწყვეტილია ქალაქის დანარჩენ ნაწილსო.

განჯაში გაიგზავნა 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

მდივანი აცხადებს, რომ სეიმის სამი წევრი „მუსავატის“ ფრაქციისა ი. ზადე, მიქაილოვი და ყულიბეგოვი უარს აცხადებენ სეიმის დეპუტატობაზე, ხოლო მათ ადგილს დაიჭერს გაზულოვი, ბამიროვი და ყარა-ალა-ზადე.

გ. დალაქიშვილის დაკრძალვა

კავკავში ვერაგულად მოკლულის, თფილ. გუბ. სასურსათო გამგეობის წევრის გ. დალაქიშვილის დაკრძალვას 24 თებერვალს საზოგადოება ბლომათ დაესწრო. წარმოთქვეს სიტყვები. სხვათა შორის თ. კიკვაძემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: ძვირფასო ამხანაგო გიორგი! „მივდივარ, მაგრამ ვინ იცის ცოცხალი დავბრუნდები თუ არა“-ო,—ასე მითხარი, როცა მიემგზავრებოდი შენს დამღუპველ კავკავს...

საუბედუროთ, მართალი გამოდგა ეს წინაგრძნობა...

მხეცი-ადამიანის ბილწმა ხელმა ცხელი ტყვიით განგმირა სიცოცხლითა და ენერგიით სავსე შენი გმირული მკერდი... სამუდამოთ შეაჩერა მგზნებარე და კაცთმოყვარე გულის-ცემა...

ჯან-ღონით სავსეს შენ გწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ უკუღმართმა ბედმა ასე უდროოთ წილათ გახვედრა შავი სამარე...

შენი ტრაღიკულათ დაღუპვის ამბავმა თავზარი დასცა მთელ საზოგადოებას, ყველა შენს ნაცნობ-მეგობარს და განსაკუთრებით ჩვენ, შენს გულითადს ამხანაგებს და შენთან ერთად მძიმე უღლის გამწევთ...

რათ მოგისპეს ახალგაზდური სიცოცხლე? რათ ჩამოგაშორეს საყვარელ საქმეს? რათ ჩაუქრეს მოსიყვარულე ოჯახს მანათობელი ლამპარი? ვის რა დაუშავე? ვის რა მტრობა ჰქონდა შენი?—აი კითხვები, რომელნიც თავისთავათ იბადებიან.

ამათ პასუხს იძლევა შენი მოღვაწეობისა და საქმიანობის ოდნავ თვალის გადავლება.

როცა თვითმპყრობელობის მტაცებელთა მთავრობამ ხალხი დაამშია, მაშინ უმთავრესათ უპურობამ ერთი დაკვრით დაამხო მტარვალის ტახტი. მაგრამ, სამწუხაროთ, დიდმა რევოლიუციამაც ვერ მისცა პური დამშეულ ხალხს... და აი იმავე უპურობამ ჩასცა სასიკვდილო ლახვარი რევოლიუციას. ბნელი ძალები გამოძვრენ სოროებიდან და ანარქიამ მოიცვა ვრცელი რუსეთი.

ჩვენ მხარეს, ამიერ-კავკასიას, საკუთარი პური მშვიდობიანობის დროსაც არ ყოფნიდა და რაღა საკვირველია, რომ რევოლიუციის ხანაში შიმშილობის საშინელი აჩრდილი წინ დაგვიდგა მთელი თავისი ულმობელობით.

ჩვენ მხარეში, სადაც შედარებით მეტი წესიერება და მშვიდობიანობა იყო დაცული, პურის შოვნა-არშოვნის საკითხი თვით ამ წესიერების ყოფნა-არყოფნის საკითხათ გახდა.

და აი, როცა რკინის გზები გაფუჭდა, ზღვით მიმოსვლა შეუძლებელი გახდა, როცა თითქმის ყოველივე იმედი გაგვიწყდა და ხსნა არსაიდან მოსჩანდა,—მაშინ მოგმართეს შენ, დაუვიწყარო ამხანაგო, როგორც გამოცდილსა და მცოდნე პირს, დაგაკისრეს დამშეული ხალხის შიმშილის ბრჭყალებიდან გამოგლეჯა და გაგზავნეს ჩრდილო კავკასიას პურის საშოვნათ.

მიუხედავათ იმისა, რომ იქ უმაგალითო ანარქიით იყო მოცული ყველაფერი, შენ, საშიშროებისაგან დაუცველი, დაუყონებლივ გაემგზავრე, თურმე მისთვის, რომ ცოცხალი ველარ დაბრუნებულიყავი...

სულ მოკლე დროში საქმე ისე მოაგვარე, რომ შიმშილის აჩრდილი, ის იყო, ქრებოდა, ჩვენ იმედი გვეძლეოდა რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა, მაგრამ ამ დროს ამუშავდა მხეცის მსახვრალი ხელი... მან არ დაინდო შენი ახალგაზდობა, შინაურულათ მოგადგა კარებზე ჯერ კიდევ მძინარეს, მუხანათურათ გამოგიტყუა და იქვე მოგისპო მშვენიერი სიცოცხლე, რომლის მიზანი ხალხის სამსახური იყო.

შიმშილის აჩრდილი კვლავ წინ წამოგვეჭიმა. ვინ იცის, შეიძლება ფულის გულისათვის შეგახო მძარცველმა ბოროტი ხელი? ან-და ჩარჩებმა, ხალხის მყვლეფელებმა, ჩამოგიშორეს გზიდან, რომ დაუბრკოლებლათ და უშიშრათ აწარმოონ თავისი ბნელი საქმენი? ეს ჩვენ დღეს გადაჭრით არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ სანამ ხალხის მჩაგვრელთა ბატონობა იქნება, მასთან ერთათ იქნება ბოროტება და უსამართლობაც.

ძვირფასო ამხანაგო! მხეცი-ავაზაკი შეცდა, თუ ფიქრობდა შენ მიერ დაწყებული და დაწყობილი საქმის მთლათ ჩაშლას. უგუნურმა არ იცოდა, რომ ჩვენ, რევოლიუციონერებს, საშიშროების წინაშე ლაჩრულათ ქედის მოხრა არ გვჩვევია, რომ ჩვენ ვლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებებს და მედგრათ მივიწევთ წინ, სულ წინ.

დამშეული ხალხისთვის პურის მოპოება ისეთი დიდი საკითხია, რომ შეგნებული დემოკრატია უკან არ დაიხევს რამდენი მსხვერპლიც არ უნდა მოითხოვოს მისგან ამ საქმემ.

მაშ მშვიდათ განისვენე, მეგობარო, იმ რწმენით, რომ შენ მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ შენი ამხანაგები და შიმშილის აჩრდილს კვლავ დაუხლუნგებენ ამართულ ცელს.

შენი სახელი, წამებულო ამხანაგო, სიყვარულით აღიბეჭდება ამიერ კავკასიის ყველა ერთა დემოკრატიის გულში. შენ თავი შესწირე დიდი რევოლიუციის მონაპოვართა ხსნას და შენ სისხლის ასოებით აღბეჭდე თავისი სახელი ამ რევოლიუციის ისტორიის ფურცლებზე.

აი ეს იყოს დაბლებული შენი ოჯახის სანუგეშოთ. მე სხვა ნუგეშის მიცემა არ ძალმიძს, რადგან მარტო მატერიალურათ უზრუნველყოფა ვერ აუნაზღაურებს მას ასეთ დიდ დანაკლისს.

ჩვენი გამგეობის სახელით, რომლის საუკეთესო წევრი იყავი, მუხლს ვიდრეკ ძვირფასი შენი ცხედრის წინაშე და სამუდამოთ გემშვიდობები, დაუვიწყარო ამხანაგო.

თელავის ამბების გამო

17 თებერვალს დაიწყეს ქართველ ჯარისკაცებმა თელავის დარბევა. ამ დღეს შემოესიენ ქალაქს და დაუწყეს იარაღის აყრა მილიციონერებს და წითელ რაზმელებს და აგრეთვე შეესიენ კომისარიატს დასარბევათ.

კომისარიატის გამაგრებას შეეცადა რამდენიმე მამაცი მილიციონერი, რომლებიც თავდადებით იგერიებდენ ხულიგან ჯარისკაცებს. აქ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მთელი თელავი ომის ქარცეცხლში გაეხვია. განადირებული ჯარისკაცები მიდევენ თელავს და ისროდენ და არბევდენ უდანაშაულო ხალხს.

სროლამ თითქმის საათ ნახევარი გასტანა. შებინდებისას მილიციონერებმა შეძლეს კომისარიატის თავდამსხმელთა ბრბოს ალყის გარღვევა და გასვლა. აქ მოკლული აღმოჩნდა ორი ჯარისკაცი და ერთი მილიციონერი. კომისარიატი ხელში ჩაიგდეს ჯარისკაცებმა.

ეს ღამე საშინელ ღამეთ გადაიქცა მცხოვრებლებისთვის, დაძრწოდენ დუქნებში, ამტვრევდენ დუქნებს და უცვივდებოდენ სახლებში. 19 თებერვალს სამაზრო კომისარიატს დაუწყეს ძარცვა. ეზიდებოდენ ყველაფერს, რასაც მოახელებდენ. აუარებელი სიმდიდრე, რომელიც იყო არქივში, მთლათ განადგურებულია, კომისარიატის მოწყობილება მინმინგრეულ-მონგრეულია; რის დაძვრაც კი შეიძლებოდა უკანასკნელი დასაგველი ცოცხამდის ყველაფერი წაიღეს. გამხეცებული ჯარისკაცები ეძებდენ მილიციონერებს და წითელ რაზმელებს.

ქალაქის საბჭოს რამდენიმე წევრმა მიმართა პოლკის კომიტეტს ამოირჩიონ ჯარიდან რამდენიმე კაცი და გამართონ მოლაპარაკება ქალაქის საბჭოსთან.

აღსანიშნავია, რომ კრებაზე მოვიდენ ნაციონალ-დემოკრატები და ლაპარაკობდენ ჯარის სახელით. დაუწყეს საბჭოს ვაჟკობა. ერთი ამბობდა: მე ქალაქის კომისარობა მომეცით ჯარს ასე უნდაო. მეორე უფრო თავზე ხელაღებული, რომელსაც ციხე აქვს გადაწყვეტილი და პოლკში ჩაეწერა, რომ ველარ დაიჭირონ, ამბობს ჩვენ მაგის თანახმა არ გავხდებით, მთელი მაზრა ჩვენ ხელში უნდა იყოსო, ასე სურს ჯარსაო. საბჭოს წევრები უცხადებენ „რაღას გვეაჭრებით, მაზრაც თქვენს ხელშია და ქალაქიც, ოღონდ იქონიეთ იმდენი სინდისი, რომ სახლებში ნუ უცვივდებით მშვიდობიან მცხოვრებთ და ბავშვებს ნუ აწიოკებთო. ასე ემზადებოდენ ნაც.-დემოკრატების ზოგიერთი წევრები ბატონობის ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ ოცნება გაუცრუვდათ, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში.

21 თებერვალს, დილითვე ხმა გავრცელდა თელავში, რომ წითელი გვარდია მოვიდაო. მთელი ქალაქი შიშმა მოიცვა—დიდი სისხლის ღვრა მოხდებაო, მაგრამ დემოკრატიის გაწვრთნილმა რაზმმა ისე მოხერხებულათ შემოარტყა წრე ყაზარმას, რომ ორი საათის სროლით აიღეს სულ მცირედი მსხვერპლით ის. ჯარი თავ-ზარდაცემული გარბოდა ტყეში. გაქცეულებს მისდევდენ რაზმელები და ჰყრიდენ იარაღს. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გამოიფინა თავისუფლათ ქუჩებში და სულ წითელ გვარდიის მზეს ლოცულობდენ.

23 თებერვალს გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, სადაც ილაპარაკა ვ. ჯუღელმა.

„ღმერთმა აკურთხოს თქვენი მოსვლის გზაო“,—გაისმოდა ხალხში.

მეთვალყურე.

ტფ. წითელი გვარდია დუშეთში

ის იყო მივემგზავრებოდით თელავში იქ მომხდარ ანარქიის ჩასაქრობად, როდესაც დუშეთიდან ამბავი მოვიდა, რომ დუშეთს ზოგიერთი ქართველი ჯარისკაცები და ნაძირალები იკლებენო. ხელათ შედგა მეორე რაზმი თფილისის წითელ გვარდიელთა და გავემგზავრეთ დუშეთში. დუშეთის საქმის მოგვარება ამხ. ვლადიმერ ჯიბლაძეს ჰქონდა მინდობილი. მცხეთამდის საგანგებო მატარებლით ჩავედით. მცხეთის სადგურიდან საბარგო ავტომობილებზე გადავსხედით და გავუდექით საქართველოს სამხ. გზატკეცილით.

22 თებერვალს მივადექით დუშეთს.—აი ის „ყაზარმები“, სადაც ზოგიერთ ავაზაკ ჯარისკაცებს და „დეზერტირებს“ დაუბუდებია, იტაცებენ საწყობებიდან ხალხის ქონებას და იკლებენ მცხოვრებლებსო—გვეუბნება მაზრის კომისარი. მას ძალიან აშინებს სისხლის ღვრა. ის წინდახედული კაცია და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ყველაფერი უსისხლოთ მოხდეს.—მოიცადეთ, ამხანაგებო! მე შევალ ქალაქში, და თუ წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს, შეგატყობიებ და ისე მოიქეცით, როგორც საჭირო იყოსო. საფრთხეს წარმოადგენს მისი ქალაქში შესვლა, მაგრამ ის მაინც მიდის. ცოტა მოლოდინის შემდეგ ის გვატყობინებს: შემოდით პირდაპირ ქალაქში და შეუდგეთ საქმესო. ჩვენც დავიწყეთ რიგრიგათ და ფრთხილათ შევედით ქალაქში. თითო ოროლა ჯარისკაცი შეიარაღებული, ზოგი ცხენით, ზოგიც ისე გვხვდება გზაში, ეტყობა მიმალვა უნდათ, მათ ვართმევთ იარაღს, ცხენებს და ვატყვევებთ. მივდივართ „ყაზარმებისაკენ“. ამ დროს „ყაზარმებიდან“ აგვიტეხეს სროლა. ჩვენ ვიჭერთ ქალაქიდან გასავალ ყველა ქუჩებს. სროლა გრძელდება, ჩვენებიც უპასუხებენ. ნახევარი საათის შემდეგ სროლა შესწყდა და წეს-რიგი აღდგენილ იქნა. ყაზარმებს ჩვენ ვიკავებთ. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, იარაღს ვყრით და ვატყვევებთ. „ცეიხგაუზებსა“ და საწყობებს გვარდიელები იცავს. ოციოდე ცხენი დარჩა, სხვა გატაცებულია. ბევრნი გაიქცნენ და თან გაიტაცეს ცხენები და იარაღები. საბედნიეროთ, არც ერთი მხრით არავინ არ დაჭრილა. მაგრამ პატარა უბედურება მაინც ვერ ავიცილეთ თავიდან. დუშეთში შემოსვლისას ერთ გაქანებულ ავტომობილს, რომელზედაც თფილისის საგანგებო რაზმის ამხანაგები ისხდენ, უეცრივ მოსძვრა უკანა ფიცარი და ექვსი ამხანაგი მიწას დაანარცხა. სამი მათგანი საგრძნობლად დაშავდა. ჭრილობების შეხვევის შემდეგ გავგზავნეთ თფილისში.

საღამოს მოგვეშველა გორის წითელ გვარდიელთა ასეული რაზმი, ამხ. სანდრო მაისურაძისა და გიორგი მახაბელის მეთაურობით. წესრიგს ყველგან გვარდიელები იცავდენ და მცხოვრებლებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს. მეთაურები შეუდგენ ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანოების მოწყობას. უნდა ითქვას, რომ აქ თითქმის არავითარი რევოლიუციონური ორგანო ფაქტიურათ არ არსებობდა. ყველაფერი კომისარს ამხ. მიშა კლიმიაშვილს აწვა კისერზე, ის იყო ყველაფერი.

ფედერალისტები უფრო ფეხმოდგმულათ თვლიან თავს დუშეთში, მაგრამ დიდებით მუშაობაზე კი ნაკლებათ უფიქრიათ. ადგილობრივი წით. გვარდიაც კი ჰყავდათ ვითომ, მაგრამ მხოლოდ სახელად ერქვა წითელი გვარდია. მილიციაზე ლაპარაკიც მეტია. ერთ მილიციონერთაგანს ნაქურდალიც კი აღმოაჩნდა.

ბევრს აღმოაჩნდა ნაძარცვი ნივთები. დავატყვევეთ ცნობილი ვაჭარი მირაქოვი, რომელსაც რამოდენიმე ათასი ფუთი ქერი უყიდია ამ პოლკის აფიცერ ვილაცა ლორთქიფანიძისაგან. მღვდელ ჭელიძესაც ბევრი ნაქურდალი აღმოაჩნდა. ეს მღვდელიც დავატყვევეთ. უმწეო მდგომარეობაშია აგრეთვე დუშეთის მაზრის სოფლებიც. სხვადასხვა ჯურის ნაძირალებს სოფელი აკლებული აქვთ. ჩვენ გადავწყვიტეთ სოფლებსაც ვწვეოდით და მათთვის დახმარება აღმოგვეჩინა. ახლო მდებარე სოფელი არის ბაზალეთი. ეს ის სოფელია, რომლის მიტინგზე ამას წინეთ ისიდორე რამიშვილს ლაპარაკის ნებაც კი არ მისცეს. მეტის-მეტათ ჩამორჩენილი ხალხია შიგ. უპასუხისმგებლო პირები, ვითომდა ბალშევიკები, აქ მოღვაწეობენ. მათ შორის უმთავრესათ დაბრუნებული ჯარისკაცებია. 24 თებერვალს, დილით, მივედით სოფ. ბაზალეთში, სადაც მიტინგი უნდა გაგვემართა და ხალხის ჭირ-ვარამი გაგვეგო და დახმარება აღმოგვეჩინა. სამწუხარო სურათი გადაგვეშალა თვალ-წინ. პროვოკატორებს თავისი არ დაეშალათ, ხალხი დაეშინებიათ, ჩვენი მისვლის წინ.—უშველეთ თავს, გაიქეცით, თორემ წითელი გვარდია მოდის და სულ ყველას ამოგჟლეტავთო.—და მართლაც, გარბოდა ხალხი ჩვენს დანახვაზე. კაცები ჯგუფ-ჯგუფათ სოფლის გარეთ მოშორებით იდგენ და ისე დაშინებული გვიცქეროდენ. ქალებს მოეკიდათ ბავშვები და ტყისაკენ გარბოდენ, თითქოს მტრის ჯარი შემოსეოდათ. მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ კი არა, პირიქით, დასახმარებლათ მივსულვართ, გაეშურენ ტყისაკენ და ერთი საათის განმავლობაში მთელი სოფელი შემოკრბა ჩვენს გარშემო. გაიმართა მიტინგი. ამხ. ს. მაისურაძემ აუხსნა მათ წითელი გვარდიის დანიშნულება და მისი მუშაობა. ილაპარაკა ამხ. მიშა კლიმიაშვილმა, ვ. ჯიბლაძემ, გლეხმა ტატიაშვილმა და სხვ. ძალიან მოეწონათ ამხ. ტატიაშვილის ლაპარაკი.

გლეხებმა აღთქმა დასდეს მხარი დაუჭირონ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობას და დაიცვან რევოლიუცია. ამის შემდეგ წითელი დროშის ფრიალით და მარსელიოზის სიმღერით დავბრუნდით დუშეთში. ამ დღეს საღამოს დუშეთშიაც დიდი მიტინგი გაიმართა. აქაც ამხანაგებმა ილაპარაკეს სხვადასხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე და რევოლიუციის დასაცავათ მოუწოდეს. წითელ გვარდიელთა მუშაობამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. შეღამებული იყო, რომ მიტინგი დაიშალა. მეტათ აწეწილ-დაწეწილ დუშეთის საქმეებს, როგორც იქნა 25 თებერვალს მოვუღეთ ბოლო.

საღამოს, 25 თებერვალს ისეთივე სიმხნით და სიხალისით მოვქროდით თფილისის გვარდიელები მცხეთისაკენ, როგორც ამ სამი დღის წინეთ დუშეთისაკენ.

მ. შათირიშვილი.

ქალაქი--ბაღი გურიაში

დიდი ხანია, რაც სოფელი ცალიერდება და ყველანი ესწრაფებიან ქალაქ ადგილებში სამუდამო დასაბინავებლად. მართალია, ქალაქი აძლევს ბევრ რამეს: სატრფო დროს გატარებას, ქალაქს უჭირავს პირველი ალაგი სწავლა-განათლებაში და კულტურულ მიმართულებაში, მაგრამ იგივე ქალაქი წარმოადგენს იმ საზარელ ბუდეს, სადაც იბადება სხვადასხვა გვარი სნეულება. უქონლობა წმინდა ჰაერისა, უქონლობა გულსალხენი ბუნებისა, რომლითაც მდიდარია დაყრუებული სოფელიც და უმეტეს განუწყვეტელი ზრუნვა და მოუსვენრობა კეთილ-ცხოვრებაზე არავის არ აძლევს სულის და გულის სიმშვიდეს. ამ გვარ შფოთიან ნიადაგზე ყველაზე უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილია ღარიბი მოხელენი და ღარიბი მუშა ხალხი, ამისათვის მათ შორის დიდათ გავრცელებულია უდროოდ განშორება ამ წუთისოფლიდგან. ათას სულზე პეტროგრადში ყოველ წლივ მიაქვს უწყალო სიკვდილსა 24,7 პროცენტი, მოსკოვში 27,5, ხარკოვში 28,3, ხოლო ასტრახანში 43,0, საზღვარგარეთ ქალაქებშიდაც სიკვდილს უჭირავს ფართო ალაგი; პარიზში 18,5 პროცენტი, ლონდონში 14,6.

იქ კი, სადაც მორთულია ქალაქი—ბაღები, სიკვდილის ბრჭყალს უჭირავს ძლიელ ცოტა ალაგი. მაგ. ინგლისში სახელდობ ბორნვილში—5,7 პროცენტი, ლეჩვორთში—4,8. რაიცა შეეხება ძუძუმწოვარ ბავშვების სიკვდილს, ათას სულზე მოსკოვში კვდება 296, პეტროგრადში 261, ბერლინში 157, ლონდონში 103, ხოლო ლეჩვორთში 54.

პირველი აზრი ქალაქ—ბაღის შექმნის გურიაში, სახელდობ „გრიგოლეთში“, რომელიც დევს სუფსის არე-მარეში, მახლობლივ ამიერ-კავკასიის რკინის გზის და შავი ზღვის ნაპირზე ეკუთვნის განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტელ მშრომელსა საზოგადოების სასარგებლოდ ბატონს სერგეი ალექსანდრეს ძეს ანისიმოვს. ეგ ქვეყნის სასარგებლო აზრი შთაბერა მას ინგლისელ ქველის მოქმედმა პირმა, სახელდობ ხოვარდმა, რომლის წყალობით ეხლა ვრცელდება ქალაქ—ბაღები არა თუ ინგლისში, არამედ საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ამერიკაში და სხვადასხვა განათლებულ ქვეყნებში. ამ ომიანობამ ყველას თვალსაჩინოთ უჩვენა, რომ რუსეთიდგან ყოველ წლივ გადიოდა საზღვარ გარეთ ორას ორას მილიონი ფული ოქროთ. ამ ოქროებით აშენდა ყველა კურორტები გერმანიაში და ავსტრიაში და ჩვენი მშვენიერი და ტურფა ალაგები, მდიდარი ბუნებით და სამკურნალო წყლებით, რჩებოდა და ჯერ კიდევ რჩება მიყრუებულათ.

ქალაქ—ბაღებს მშვენივრათ შეუძლიანთ შეაერთონ ერთათ ქალაქ—სოფლის ცხოვრება, ამიერ-კავკასია და განსაკუთრებით გურია დიდათ ხელს უწყობს ამ გვარ სარგებლიან საქმის სისრულეში მოყვანას.

ადამიანი მუდამ იყო და არის თაყვანისმცემელი მშვენიერი ბუნებისა და სოფლის სიწყნარისა და სიმშვიდისა. აი ამისათვის საჭიროა, რომ შევაერთოთ ერთად ქალაქის და სოფლის მაგნიტი. როგორც მამაკაცი და დედაკაცი ერთი-ერთმანეთს ავსებენ, ეგრეთვე ქალაქ და სოფელმა უნდა ერთი-ერთმანეთი ავსონ. უთუოდ საჭიროა ქორწინებით შეიკრას ქალაქი სოფელთან.

განსახორციელებლათ თავის სარგებლიანი მოქმედებისა ბატონმა ს. ა. ანისიმოვმა შეადგინა ამხანაგობა, რომელშიაც შედის 88 სული უმეტეს ექიმებისგან, ინჟენერებისგან და სხვა თავისუფალ პროფესიის პირებისაგან.

ამხანაგობას აქვს შეძენილი ნასყიდობით ქალაქ—ბაღისათვის 693 დესეტინა, მიწა. მათ რიცხვში 540 დესეტინა მდებარეობს მარცხნივ სუფსის მდინარიდან, ხოლო 183 დესეტინა მარჯვნივ.

სახელმწიფო, საზნაურო და საგლეხო ბანკებიდან მოიპოვა ამხანაგობამ 172 დესეტინა მიწა. ადგილობრივმა გლეხებმაც კარგათ შეიგნეს სარგებლობა ამ საქმის და დაუთმეს ამხანაგობას 48 დესეტინა მიწა.

რადგანაც იმ ადგილზე, სადაც კეთდება ქალაქ—ბაღი, ოდესმე იდგა ეკლესია წმიდა გრიგოლისა, ამისათვის ამხანაგობამ დაარჩინა ეს სახელი და სახელად დაუდვა ამ ქალაქ—ბაღს „გრიგოლეთი“.

ეხლა გავეცნოთ იმ პირობებს, რომელნიც შეადგენენ საფუძველს დასაარსებლათ ქალაქ—ბაღისა:

1) ქალაქ—ბაღი უნდა აშენდეს მოკლე დროში, სახელდობრ ხუთი წლის განმავლობაში. ამხანაგობა იტოვებს თავისთვის რაოდენიმე მიწის ნაწილსა და სხვა ნაწილი დაყოფილია 1300 ნაწილებათ და ეძლევა თითო თითო ნაწილი ვინც ისურვებს, მაგრამ საკუთრებას მაშინ პოულობს მიწის ამღები, როდესაც ის ააგებს რაიმე შენობას იმ გეგმით, რომელსაც აძლევს ამხანაგობა. ეს მისთვის არის დადებული, რომ ვინმე სპეკულიანტმა არ დაიწყოს ბოროტმოქმედება და სხვა პირს არ გადასცეს შეუმუშავებლათ მეტ ღირებულ ფასზე.

2) წასაყვანათ გრიგოლეთში ქალაქის პატრონობისა და მის აღყვავებისა გაჩენილი იქნება კოოპერატივი, რომლის წევრათ შეუძლიანთ შევიდეს, როგორც ცალკე პირებს, ეგრეთვე ამხანაგობის წევრებსაც, ესე იგი ვისაც აქვს მფლობელობა მიწის ნაწილისა, თითოეულ კოოპერატივის წევრს აქვთ მხოლოდ ერთი ხმა.

3) ამხანაგობა უსასყიდლოდ აძლევს კოოპერატივს საკუთარ მის მფლობელობაში ქალაქ—ბაღში შემდეგს:

ა) საკმაო მიწას ქუჩების და მაიდნების გასაყვანად და აგრეთვე მონოპოლიას გასამართავად მიწის ნიადაგზედ და მიწის ქვეშ კანალიზაციისა, წყლის გამოსაყვანისა, ელექტრონის ენერგიისა, რელსების გასაყვანისა და სხ. ქუჩების და მაიდნების გასაყვანად გადადებულია 69 დესეტინა მიწა.

ბ) საკმაო მიწას ბაღების, ბულვარის გასაკეთებლად— 63 დესეტინა.

გ) საკმაო მიწას, რაც დასჭირდება ბავშვების სათამაშოდ და სხვადასხვა ნაირ სპორტისათვის 19 დესეტინა.

დ) საკმაო მიწას, რომელსაც ექნება საზოგადო დანიშნულება— 5 დესეტინა.

ე) საკმაო მიწას, რომელიც მოუნდება ჯოგის საბალახოთვის, ფერმისათვის, ბაღ-ბოსტნეულობისათვის პარნიკებით, ქარხნებისათვის მოსათავსებლად შენობების მასალებისა და სხ.—სულ 48 დესეტინა და ბოლოს—რკინის გზის პლატფორმისათვის—2 დესეტინა. სულ ამხანაგობა აძლევს კოოპერატივს 206 დესეტინა მიწას.

4) გარდა ამისა ამხანაგობა აძლევს კოოპერატივს იმ ფულებს, რომელიც შემოვა სხვადასხვა პირებისაგან შენობების ასაშენებლად. ეგ ფულები შეადგენს 1,500,000 მანეთს. გარდა ამისა კოოპერატივი ღებულობს სახლების ამშენებელ პირებიდან რამდენიმე ასი ათას მანეთს. ერთის სიტყვით კოოპერატივი მიიღებს ორ მილიონამდის ფულს:

5) იმ ფულებიდან, რომელიც შემოვა კოოპერატივს, კოოპერატივი ვალდებულია აი რა გააკეთოს:

ა) მოკენჭოს ქუჩები და მაიდნები.

ბ) ააშენოს სახლები: საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის, საავადმყოფოსათვის, სახალხო სახლისათვის, ფოსტა-ტელეგრაფისათვის, სავაჭრო დუქნებისათვის, საზოგადო ფურნეებისათვის, საზოგადო სამზარეულოებისათვის, ცეცხლის დასაქრობისათვის, მეტეოროლოგიის სადგურისათვის, ფერმისათვის.

გ) გამართოს ქალაქ—ბაღში წყლის გამოსაყვანი, კანალიზაცია, ელექტრონის სინათლე, დარგოს ხეებით ბულვარი და პარკი, მოაწყოს საზოგადო ბოსტანი, სანერგე, ქარხანა ასაშენებელი მასალებისათვის და სხ.

დ) ეპატრონოს ქალაქ—ბაღს.

6) ყოველი შემოსავალი, რასაც მიიღებს კოოპერატივი უნდა გადაიდვას კეთილ-მოსაწყობათ ბაღ—ქალაქისა.

7) ის მიწა, რომელსაც მიიღებს ამშენებელი, შენობით უნდა მოათავსოს მხოლოდ ერთი მეოთხედი ნაწილი, სხვა სამი მეოთხედი ნაწილი უნდა დასტიოს ბაღის და ბოსტნის გასამართავად. სახლი უნდა იყოს უთუოდ ორსართულიანი და არა მეტი. ამნაირი პირობები უთუოდ ხელს მოუწყობს კარგ სანიტარულ მდგომარეობას და მისცემს ქალაქ—ბაღს წმინდა ჰაერს. სხვა ადგილებში დიდი ვიწროობაა მრავლის შენობების მიზეზით და ქალაქ ადგილები ვერ პოულობენ თავისუფალ ალაგსა. მაგ. ლონდონში 14 პროცენტია თავისუფალი ალაგი, ბერლინში 10 პროც., პარიზში 4,4 პროც., ამისათვის იქ სიკვდილიც (ჭლექით) მეტია. „გრიგოლეთში“ კი თავისუფალი ალაგი შეადგენს 80 პროცენტს.

8. საშუალ მრავალ უბნებისა ქალაქ—ბაღში დარჩენილი იქნება თავისუფალი მაიდნები ბავშვებისათამაშოდ და სპორტისათვის. ამ ადგილებში მოდიან გზები ყოველ ნაწილებიდან. ამგვარი დაწყობა ნებას აძლევს ყველას არ დაშორდეს თავის სადგურსა და ქუჩაში არ გავიდეს.

9. საშუალო ადგილი ქალაქ—ბაღისა სუფსის რკინის გზის სადგურიდგან არის ოთხ ვერსზე, მაგრამ ამხანაგობას სურს ეხლავე აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნება მიეცესთ პლატფორმის გამართვის სუფსისა და ნატანების შუა. გრიგოლეთიდგან საშუალ მისი ალაგისა, ამ პლატფორმიდან იქნება მაშინ ნახევარი ვერსი. უეჭველია, საბოლოოთ ეგ პლატფორმა უნდა გადაიქცეს რკინის გზის სადგურათ.

10. ამხანაგობა თავისთვის ბაღ—ქალაქში სტოვებს რამოდენიმე ნაჭერ ალაგს, რომელზედაც ის ავალებს თავის თავს ააშენოს თავის ხარჯით შემდეგი შენობები:

ა) ინსტიტუტი ფიზიკური მეთოდის სამკურნალოთ, როგორც ეს არის საზღვარ გარეთ და რუსეთშიდაც, სახელდობრ სევასტოპოლში.

ბ) კურზალი თეატრის ზალით.

გ) 2—3 სასტუმრო შენობები და პანსიონატი.

დ) ქარვასლა შესაფერი ეზოთი.

ყველა ეგ შენობები თავისი მოწყობილებით, დაახლოვებითი ანგარიშით, ჯდება ორ მილიონათ.

ამხანაგობას იმედი აქვს, რომ ამ ქალაქ—ბაღში მოათავსოს 10 ათასი სული მცხოვრები.

გაჩენა ამგვარი ქალაქ—ბაღისა, თქმა არ უნდა მოუტანს დიდ სარგებლობას არა თუ გურიას, არამედ მთელ ამიერ კავკასიას, და რადგანაც ამნაირი ქალაქ-სოფელი იქნება მორთული ყოველის მხრივ, მაშინ არავინ არ ინდომებს წასვლას საზღვარ გარეთ და იქ დაბნევას თავის ოქროებისას. მით უმეტეს, რომ წმინდა ჰაერის გარდა აქ შეგვიძლიათ ისარგებლოთ ზომიერი ზღვის ჰაერით, თბილი ზღვის წყლის ბანაობით და წამლობით სხვადასხვაგვარ სნეულობისაგან.

გარდა ამისა ის მუშაობა, რომელიც გაჩნდება ამ ქალაქ—ბაღში მისცემს ხალხს დიდ შემოსავალს, აგრეთვე, რასაც მოიწევს მეურნეობიდან შეუძლია აქვე გაასაღოს.

თაყვანსა ვსცემ გურულებს, რომ მათ კეთილის სურვილით მიჰყვნენ ამ კეთილ საქმესა. გურია ამიერ-კავკასიაში ყოველთვის იყო მოწინავეთ და ეხლაც აღმოიჩინა ეგ მოწინავეობა. კიდევ ვიმეორებ თაყვანისცემასა, რადგანაც გურიაში დაარსდა იმნაირი წესდებულება, რომ ანარქია აქ ფეხს ვერ იდგამს და სხვა ადგილებზე აქ უმეტესი სიმშვიდე და სიწყნარეა.

მეთაურები აქ არ ატარებენ დროს ცრუ მეტყველებაში, აქ აკეთებენ საქმეს და უნდათ სულით-გულით მოპოვებული თავისუფლება გაიმაგრონ.

კ. დ. მაჭავარიანი.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 21 თებერვალს მოხდა ს. დ. პირველ რაიონის კოლლექტივის წევრთა კრება. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: საერთო პოლიტიკური მდგომარეობა; გაზეთი „ბორბა“; მუშათა კლუბის წესდება; ქვერაიონული ინსტრუქცია; სახალხო უნივერსიტეტი.

საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ამხ. ბახტაძემ თფილისის ს. დ. კონფერენციის სახელით გააკეთა მოხსენება, რომლითაც გააცნო კრებას საერთოდ რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა და კერძოთ კი ამიერ-კავკასიაში ძალთა განწყობილება. მოხსენების შემდეგ, კრებას გააცნო კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია: „ამიერ კავკასიის დემოკრატია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ არ სცნობდა რუსეთის ცენტრალურ მთავრობას თავის მთავრობად, დღეს კი ასეთი სამარცხვინო ზავის შეკვრა გერმანიასთან და ოსმალეთისათვის ბათომის, ყარსის და არდაგანის გადაცემა იძულებულს ხდის მას, არ სცნოს ასეთი ზავი სავალდებულოთ და აღიაროს თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკანურ სახელმწიფოთ და შეუდგეს ოსმალეთთან სამშვიდობო ზავზე მოლაპარაკებას იმ საზღვრების აღსადგენათ, რომელიც იყო ომის დაწყებამდე 1914 წელში.

თუ ოსმალეთმა ულტიმატუმი წამოაყენა და მოითხოვა ბათომის, ყარსის და არდაგანის ოლქები, ამიერ-კავკასიის დემოკრატია თავის სურვილის წინაღმდეგ ვალდებულია შეერთებული ძალით და გაორკეცებული ენერგიით დაიცვას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და ებრძოლოს მტერს უკანასკნელ ძალამდე.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს წირქვაძემ, ცინცაბაძემ, დოლიძემ, მატიკაშვილმა, ჟურულმა, გნაევომა და ი. ჟორდანიამ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო ხმის უმეტესობით კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია და განსახილველათ გადასცა საერთო პარტიულ კრებას.

გაზეთ „ბორბის“ შესახებ მომხსენებელმა გააცნო კრებას გაზეთის ნივთიერი მხარე და ხაზ გასმით აღნიშნა ის, რომ ბევრი პარტიული ამხანაგები, როგორც რუსები, ისე ქართველებიც არ იწერენ მას საკმაოთ. კრებამ მოისმინა რა ასეთი მდგომარეობა დაადგინა შემდეგი: „ყველა კოლლექტივის წევრები ვალდებულია იქონიონ გავლენა თავიანთ წრეში და მიიღონ ენერგიული ზომები, რომ გაზეთ „ბორბის“ გამომწერთა რიცხვი გამრავლდეს და მით ხელი შეუწყოს მას არსებობას.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად აირჩია ორი ამხანაგი: ბოლქვაძე და ქუთათელაძე.

მდივანი ა. კვაჭაძე.

სოფ. ბეჟათი (აბაშის რაიონი). მიმდინარე წლის 4 თებერვალს ადგილობრივ შკოლის დარბაზში შესდგა ს. დ. პარტიის კრება. კრებას დაესწრო პარტიის უმრავლესობა. მომენტის შესახებ ილაპარაკა ამხ. ბ. ბიჭიაშვილმა. კრებამ სხვათა შორის, განიხილა პრეზიდიუმის გაფართოება და სამეცადინო პოლიტიკური წრის დაარსება. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა დასტოვოს ძველი პრეზიდიუმის წევრები, მხოლოდ მიემატოს 4 ახალი. ერთხმათ აირჩიეს ბ. ბიჭიაშვილი, გ. ხურიძე, გ. კალანდაძე და ნ. პაპავა, აგრეთვე დიდი აღტაცებით მიღებული იქნა სამ. პოლ. წრის დაარსება, წრის ხელ-მძღვანელებათ აირჩიეს სალომკა აბაშიძე, ბ. ბიჭიაშვილი, ს. ქუთათელაძე, გ. ხურიძე და გ. კალანდაძე.

ბეჟათელი გიორგი

პროვინცია

ბორჯომის რაიონი. 18 თებერვალს მოხდა ბორჯომის რაიონის გლეხთა საბჭოს რეორგანიზაცია, მუდმივ თავმჯდომარეთ ერთ ხმით ამოირჩიეს ისევ ძველი თავმჯდომარე კოლია შახნაზაროვი, მდივნათ ვასო ატოევი.

შახნაზაროვმა მოხსენება გააკეთა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის შესახებ. კრებაზე შემოიტანეს განცხადება ს. ზედა-ბეჟეთის მცხოვრებლებმა ტყე გაჩეხეს, რომ ახო გაიკეთონ. გლეხთა საბჭომ დაადგინა შემდეგი: რადგანაც ს. ბეჟეთელებმა დაუკითხავათ და ძალმომრეობით გაჩეხეს ტყე, ის გაჩეხილი ტყე მიეცეს ღარიბ გლეხკაცებს, რომელთაც ხარ-კამეჩი არ ჰყავთ. ნაჩეხი მამული კიდევ მიეცეს იმას, ვინც უფრო უმამულოა სხვა სოფელში, თუ ვინცობაა ს. ზედა ბეჟეთელები არ დაყაბულდენ ამ გადაწყვეტილებას დატუსაღებული იქნებიან.

დინჯაძე.

სოფ. ოფშკვითი. 15 თებერვალს თფილისიდან ჩამოასვენეს 10 თებერვალს ალექ. ბაღში სროლის დროს მოკლულის თფილისის მეთერთმეტე კომისარიატის მილიციონერის ამხ. იოსებ გერსამიას ცხედარი. მუხიანის სადგურზე ცხედარს შეეგებენ დროშებით საყულიის და ოფშკვითის მცხოვრებნი. ცხედარი დავასვენეთ მუხიანის სამკითხველოს წინ და გადავუხადეთ სამოქალაქო პანაშვიდი. წარმოსთქვეს სიტყვები. ადგილობრივმა კოლექტივმა გადაწყვიტა გვირგვინის ნაცვლად დაარსოს „რევოლიუციონური ფონდი“ და გადადვას მისთვის თანხა, რომლის დანიშნულება იქნება ადგილობრივი გადაცვალებულ ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავათ ოფშკვითში უფასო სამკითხველოს დაარსება. 17 თებერვალს მოვიდენ ბაზის, საყულიის, მუხიანის და ოფშკვითის ამხანაგები დროშებით, სამტრედიის დეპოს მუშები მუზიკით, ნათესავ-მოყვრები და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრები ქალი და კაცი. კუბო გვირგვინებით შეამკეს. იქვე შეაგროვეს ფულები „რევოლიუციონურ ფონდისთვის“.

ს. სხივიშვილი.

ქ. სამტრედია. 17 თებერვალს მოხდა სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა, სხდომის საგანი იყო დეპოდან საბჭოს წევრთა ახალ არჩევნების დამტკიცება და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის არჩევა. სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა, კრებამ მოისმინა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება ბათუმში და ქუთაისში რაზმის გაგზავნისა და სამტრედიაში თავდაცვის მოწყობის შესახებ. აღმ. კომიტეტის პროექტით ქალაქში თითო კვირაობით უნდა მორიგეობდეს 100 კაცისაგან შემდგარი რაზმი. კრებამ მიიღო ცნობათ მოხსენება. დაავალა თვით აღმასრულებელ კომიტეტს ამ საქმის მოწყობა.

კრებამ ერთხმათ დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა ამიერ-კავკასიის სეიმს. ზავის საკითხმა გამოიწვია დიდი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არაწევრ ბალშევიკებმაც. მიღებულ იქნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც უკვე მოთავსებული იყო „ერთობაში“ და „ბორბაში“.

რკ. გზის დეპოდან საბჭოში აირჩიეს გ. სტურუა, იაკინთე ხუჭუა, ის. ბახტაძე, პ. გეგეშიძე, გაბ. ანაკიძე, ბიჭ. ცანავა და მ. გიგინეიშვილი. კრებამ დაამტკიცა ეს არჩევნები. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. შენგელია, მის ამხანაგათ—მიტროფანე ჯანელიძე. მდივნათ დარჩა ისევ ს. ნინუა. წევრებათ აირჩიეს გ. სტურუა, ს. ხოშტარია, პორფ. ბერეკაშვილი და პ. გეგეშიძე.

ამის შემდეგ სბროიავკას ხე-ტყის ქარხნის წარმომადგენელმა გააცნო კრებას მუშებსა და „ხაზეინებს“ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. კრებამ ქარხანაში გასაგზავნათ აირჩია ორი კაცი.

—ო.

ს. აცანა (გურია). 22 თებერვალს ს. აცანას გაიმართა სახალხო მიტინგი. მიტინგს ხალხი ბლომად დაესწრო.

მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რევოლიუცია განსაცდელშია, რომ რევოლიუციას გარედან მტერი ემუქრება და თავისუფლებასთან ერთათ ხალხს ფიზიკურად განადგურება მოელის, ჩვენ აცანის მცხოვრებნი განურჩევლათ სქესისა და პარტიისა, ყველანი მზათა ვართ თავისუფლება დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმათ. ამასთანავე აცანის საზოგადოებიდან 17 თებერვალს გაემგზავრენ მოხალისენი ქ. ბათუმში ორმოც კაცამდე და თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ მზათ არიან წავიდენ. მობილიზაციის შესახებ არჩეულ იქმნა კომისია.

ლისგორდელი.

ს. ბახვი (გურია). 18 თებერვალს ბახვში ოზურგეთის დროებითმა სამხედრო რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გაარჩია ეკლესიის გაძარცვის საქმე. კომისიები ბრალს სდებდენ გიორგი მ. ქიქოძეს, იაგორ გარაყანიძეს, მათე მელუას და ანტონ ქიქოძეს. ტრიბუნალმა განიხილა ძველი და ახ ლი კომისიების საქმეები, მეორეთ არჩეულ კომისიების საქმეებიდან ნათლათ სჩანდა, რომ ზემოთ აღნიშნულ პირებს ძალათ მოახვიეს თავზე ეკლესიის გაძარცვის საქმე. სცნო რა ტრიბუნალმა კომისიების მიერ გამოძიების საქმე კერძო ინტერესებზე იყო აგებული, ყველა დამნაშავეთ წამოყენებული პირები გაანთავისუფლა და დაადგინა დაინიშნოს კომისიები ხელახლა. რადგან გიორგი ქიქოძეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ამ საქმეში და კომისიის ორ-სამმა წევრმა მისი პიროვნება შელახა პირადი ინტერესის გულისათვის, ტრიბუნალმა კომისიების ასეთი საქციელი დაგმო და სრული ნდობა გამოუცხადა გ. ქიქოძეს.

ზოგიერთი ჯარისკაცები, რომლებიც იარაღით მოდიან სახლში, ნამეტან უწესოებას სჩადიან და განუწყვეტლივ თოფებს ისვრიან. ადგილობრივ სამკითხველოში ხშირათ აქვს უწესოებას ადგილი. კარგი იქნება, რომ გამგეობა მიაქცევდეს ამას ყურადღებას.

შავი.

წერ. რედაქციის მიმართ!

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი განმარტება: ჩემ წერილში „ქართველ გლეხკაცობის მტერველი თავად-აზნაურობა“, რომელიც „ერთობის“ გუშინდელ ნომერში (№ 48) იყო დაბეჭდილი, ნათქვამი მქონდა, რომ თავადს, რომელმაც მოატყუა ნიჩბისისა და ხანდაკის გლეხები, „მუდამ გვერდში უდგა ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი ნაფიცი ვექილი“, ეხლახან ჩვენ კრებებზე მოსიარულეო. რადგან ჩვენ კრებებზე მოსიარულე ვექილთა მცირე რიცხვში ურევია ს. ჯაფარიძე, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ ვალათ ვრაცხ განვმარტო, რომ წერილში მოხსენებული ნაფიცი ვექილი ს. ჯაფარიძე არ არის.

პ. კ—ნი.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარის-კაცი არტემ სტეფანეს ძე ოსეფაშვილი მსახურებდა მე-5 კავკასიის მსროლელ პოლკის მეორე როტაში. ათი თვეა, რაც მის შესახებ არა ვიცით რა. გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგის მისამართით: დ. ახალ-სენაკი, მარანის საზოგადოება, სტეფანე ოსეფაშვილს.

— ჯარის-კაცი აკაკი ნიკოლოზის ძე მეგრელიშვილი მსახურებდა მე-18 კავკასიის მსროლელ პოლკში მე-3 როტაში; ავადმყოფობის გამო ის გადაყვანილი იქმნა მე-394 სათადარიგო საველე (полевой) საავადმყოფოში. 1917 წ. 5 მარტის შემდეგ მისგან არაფერი ცნობა არ მიგვიღია. უმორჩილესად ვსთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობოთ ამ მისამართით: სად. სუფსა მეისრე ვასილ ნიკოლოზის ძე მეგრელიშვილი.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი ქალი
რ. გ. შიოლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 32.

ექიმი გ. გ. [illegible]
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქშინეევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: სოლოლაკი, გუდოვიჩის ქუჩა № 6, ეზოში მე-3 სართული.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 28. ტელეფონი 7—92.

ექიმი ვ. გ. ვეშხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

შაბათს, 3 მარტს, საღამოს 7 საათზე,
სახალხო სახლში დანიშნულია თფილისის
მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს სხდომა
დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი.

ავჭალის აუდიტორია
(ჩერქეზიშვილის მოედანი)
შაბათს 3 მარტს 1918 წ. ავჭ. აუდ. არჩეულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ავჭ. აუდ. სცენაზე ახალი ორიგინალური დრამა გორდელისა
გაწყვეტილი სიმი
მონაწილეობენ ქ.ქ. ვ. ბაბო, თამარაშვილი, მარინეშვილი, ბ.ბ. პ. ფრანგიშვილი, გ. ფაფაზაშვილი, ან. ლითანიშვილი, ლაფერაშვილი.
ბილეთების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 30 კ. ბილეთები იყიდება ყოველ-დღე თეატ. კასაში.
დასაწყისი სრულ საღამოს 7 საათზე. ◆ მორიგე გამგე კ. რაფაელი.
2—1 შემდეგი წარმოდგენა 10 მარტს. რეჟისორი პ. კანდინაშვილი.

განცხადება
დროული სასურსათო ბარათები, რომლებითაც აქამდე ღებულობდენ ნორმა-დაუდებელ პროდუქტებს (მაგ. კარაქი—საპონს და სხვ.) 1-ლი მარტიდან უქმდება.
1-ლი მარტიდან ყველა ასეთი პროდუქტი მოქალაქეთ მიეცემათ სასურსათო შაქრის ბარათებით.
სახლის კომიტეტები პროდუქტებს მიიღებენ რიგს გარეშე, ახალი სახის მოსათხოვარი უწყების (требовательн. вѣдомость) და აუცილებელ სასურსათო ბარათების წარდგენის შემდეგ. მოსათხოვარი უწყებანი არის ყველა უბნის სასურსათო კომიტეტებში და აქვთ აგრეთვე ყველა სახლის ორგანიზაციების მომწყობი საუბნო ინსტრუქტორებს.
2—1 თფ. ქალაქის სამმართვ. არსებული საბარათო განყოფილება.

განცხადება.
ამიერ-კავკასიის რკინის-გზების მთავარ კომიტეტის სასურსათო კომისია იწვევს მსურველთ, რომელთაც შეუძლია იკისროს საჭირო სანოვაგის ჩაბარება ამიერ-კავკასიის რკინის გზის რომელიმე სადგურზე მოტანით.
ნახვა მოსალაპარაკებლათ შეიძლება დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
მისამართი: თფილისის სადგური, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი. 3—3

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. მაჭაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი არ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.

მწრობელ-მხედრეი სტამბა რუსთაველისა, გამავლის შესახვევი, № 1.